# სარბიელი

საპორტული გაზეთი | შაბათი 2 სექტემბერი 2000 №169 (1191) | ფასი 50 თეთრი

## ალენ დელონს ბრაზილიის ნაკრებში თამაშის შანსი აქვს



### კობიაშვილმა 4:1 მოიგო, იაშვილმა და ცქიტიშვილმა 1:4 წააგეს, საქართველომ 3:2 გაიმარჯვა

# საქართველო ფრაიბურგს ორი ნაკრებით ეთამაშა

ფრაიბურგი
1 სექტემბერი
20 საათი
დრაიზამშტადიონი
5 000 (ტევადობა 25 000)

**ფრაიბურგი 2:3 საქართველო**

0:1 ყაველაშვილი (12), 0:2 ჯანაშია (43), 0:3 შ. არველაძე (53), 1:3, 2:3 შიუგელი (64, 81)

ფრაიბურგი: გოლცი, ცქიტიშვილი (შუმანი 46), ცაიერი (ნაიცელი 77), ბაია, იაშვილი (სელიმი 46), მიულერი, რამდანე (შიუგელი 62), დიარა, დორნი (ცანდი 46), ბორიცინო (კობიაშვილი 46), კულიბალი

საქართველო: გვარამაძე (ზოიძე 46), სილაგაძე, თოდუა (დიდავა 46), კალაძე, ნემსაძე (იაშვილი 46), ყაველაშვილი (ჯამარაული 46), ზ. ჯანაშია (ა. არველაძე 46), კობიაშვილი (სიჭინავა 46), დემეტრაძე (ცქიტიშვილი 46), ხიზანიშვილი (შ. არველაძე 46), მენთეშაშვილი (გოგიჩაიშვილი 46)

**გუშინ** საქართველოს ეროვნულმა გუნდმა მოიგო. ფრაიბურგის „დრაიზამშტადიონზე" მიხეილ ყაველაშვილს, ზაზა ჯანაშიასა და შოთა არველაძის გოლებით ჩვენებურები 3:0 დაწინაურდნენ, მერე ფრაიბურგელმა მასპინძლებმა ორი გოლის გატანა მოახერხეს.

„ფრაიბურგის" ქართველებმა, ლევან კობიაშვილმა მეორე ტაიმში, ალექსანდრე იაშვილმა და ლევან ცქიტიშვილმა კი შესვენებამდე თავიანთ კლუბში ითამაშეს.

ეროვნული გუნდის მწვრთნელის რევაზ ძოძუაშვილის თქმით, ნაკრებისთვის „ფრაიბურგთან" მატჩის შედეგს იმდენად დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენადაც ფეხბურთელთა ერთმანეთთან შეთამაშებასა და სხვადასხვა ტაქტიკური ვარიანტების დახვეწას — ჩვენი ნაკლიც კარგად დავინახეთო — გვითხრა ძოძუაშვილმა მატჩის შემდეგ, როცა ფრაიბურგში შევეხმიანეთ.

ნაკრების გეგმები კი შეიცვალა. „სარბიელის" ამ ნომრის წაკითხვისას ჩვენი ეროვნული გუნდის საქართველოში მოთამაშე წევრები, მწვრთნელებიანად, თბილისში იქნებიან. ჩვენებურთ გერმანიაში მეორე ამხანაგური მატჩიც უნდა ეთამაშათ, მაგრამ მიზეზთა გამო ეს შეხვედრა არ შედგა.

**კობა ინასარიძე**

## გუშინ ქართველი ოლიმპიელები დააფიცეს, შემოსეს, აკურთხეს, დააიმედეს და ადღეგრძელეს



ქართველ ოლიმპიელთა სახელით ნინო სალუქვაძემ დაიფიცა

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

# ვაი, დაო და დედაო!

## ამერიკამ პირველი კაცი დაკარგა





REUTERS ნიუ იორკიდან

## US OPEN

აშშ-ის ღია პირველობის მეორე წრე გადაულახავი ზღუდე აღმოჩნდა მსოფლიოს პირველი ჩოგნის, ანდრე აგასისთვის. ტურნირის ორგანიზატორებმა და ნიუიორკელებმა უპირველესი იმედი და ფავორიტი დაკარგეს, მაგრამ თავად ხოტორა ლასვეგასელს საჩოგბურთო წარმატება-წარუმატებლობები ამ დღეებში ნაკლებად ადარდებს. ანდრეს ფიქრი უმძიმესი სენით შეპყრობილ დედას და დას დასტრიალებს, მის ამ დღეში ყოფნას კი ძალიან განიცდის ამერიკელის გერმანელი სატრფო შტეფი გრაფი.

იხილეთ მეცხრე გვერდი

# გაჭირვებამ ფრაიბურგი ქველმოქმედად აქცია

**საქართველოს** ეროვნული ნაკრები რამდენიმე დღით გერმანიას, კერძოდ კი ქალაქ ფრაიბურგს სტუმრობდა. იქ ყოფნის მიზეზი თავადაც მოგეხსენებათ. ეროვნული გუნდის მწვრთნელებმა რამდენიმედღიანი შეკრება მოაწყვეს, გუშინ კი ამხანაგურად პირველი ბუნდესლიგის ბინადარ „ფრაიბურგს“ ეთამაშნენ და 3:2 დაამარცხეს.

სიმართლე ითქვას, გვეგონა, გერმანული მასმედია ამ მატჩის მიმართ თუნდაც მცირე ინტერესს მაინც გამოიჩენდა. არაფერი მსგავსი, თვით ადგილობრივ „ბადიშე ცაიტუნგსაც“ კი გუშინდლამდე ამ შეხვედრასთან დაკავშირებით სიტყვაც არ დაუძრავს, „კიკერზე“ თუ სხვა დიდ სპორტულ გამოცემებზე არაფერს ვამბობთ. ფაქტია, გერმანელები შეხვედრას არცთუ სერიოზულად მოეკიდნენ. ისე, ლამის ჩვენი ნაკრებიც ასეა და გერმანელების რა უნდა გაგვიკვირდეს? საოცარია, ერთ თვეში საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის ორი უპრინციპულესი შეხვედრა ელის, ეროვნული გუნდის თავკაცები კი ამხანაგურ მატჩს მართავენ, რომელშიც ნაკრების სამი ფეხბურთელი ერთ ტაიმს ერთ გუნდში ატარებს, მეორეს — მეორეში. ბარემ აქვე ორმხრივი მატჩი გვეთამაშა და ეგ იქნებოდა.

გუშინ ქართველთა ფრაიბურგში სტუმრობას „ბადიშე ცაიტუნგი“ როგორც იქნა, პატარა სტატიით გამოეხმაურა, რომლის თარგმანიც, ვფიქრობთ, „სარბიელის“ მკითხველსაც დააინტერესებს.

„თოთხმეტი დღის წინ მოგვივიდა ეს ფურცელი — გაიხსენა „ფრაიბურგის“ მენეჯერმა ანდრეას რეტიგმა — ფაქსია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გამოგვიგზავნეს.“ მენეჯერი ფაქსის შინაარსსაც გვაცნობს. იქ წერია, რომ იაშვილი, კობიაშვილი და ცქიტიშვილი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში არიან გამოძახებულნი. ქართველები კვირის ბოლოს სადღაც აღმოსავლეთ ევროპაში თამაშობენ.

სამშაბათს ბუნდესლიგაში მორიგი ტურია. „ფრაიბურგი“ „კიოლნს“ ხვდება. ფინკეს ამ მატჩისთვის ქართველი ლეგიონერები ძალიან სჭირდება. და გაჩნდა იდეა — შევთავაზოთ ქართველებს თავად ჩამოსვლა და საკონტროლო მატჩის თამაში. მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯებს, ცხადია, ჩვენს თავზე ავიღებთ. მენეჯერის ამ გეგმას შედეგიც მოჰყვა — დღეს 17 საათზე საინტერესო მატჩია. ასე აქცია საჭიროებამ „ფრაიბურგი“ ქველმოქმედად.

ქართველები იტალიელებთან, რუმინელებთან, უნგრელებთან და ლიტველებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში არიან. კვირის ბოლოს საქართველოს ნაკრებს ქვეჯგუფში თავისუფალი სათამაშო დღე ჰქონდა, ამის სანაცვლოდ ამხანაგურად თამაში მოინდომა. ამიტომ „ფრაიბურგის“ სამი „შვილი“ დღეს ერთ ტაიმს მშობლიურ ნაკრებში ჩაატარებს. რომელ ტაიმს, ჯერ უცნობია. რეტიგის თქმით, ამას მწვრთნელები თამაშის წინ მოილაპარაკებენ. გუშინ ქართველებმა ავდარში „დრაიზამშტადიონზე“ ივარჯიშეს. ამის შემდეგ „ფრაიბურგის“ თავკაცი ფოლკერ ფინკე და მისი კოლეგა, წარსულში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი დავით ყიფიანი ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ და ყველაფერზე შეთანხმებულიყვნენ.

„კიოლნთან“ მატჩამდე „ფრაიბურგს“ კიდევ ერთი პრობლემა აწუხებდა. იგი ტუნისელებს — ბაიასა და სელიმის ეხებოდათ. საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა. ორივე ტუნისელმა ნაკრებში კვირის მიწურულს კენიელების წინააღმდეგ თამაშზე უარი თქვა. ამ შემთხვევაში ფიფას მათი ხუთდღიანი დისკვალიფიკაციით დასჯა შეეძლო, თუმც ტუნისის ფეხბურთის ფედერაციიდან ფაქსი მოვიდა, სადაც იტყობინებიან, რომ ბაია და სელიმი კენიელებთან მატჩისთვის განთავისუფლებულნი არიან ნაკრებიდან. ასე რომ, ეს ფეხბურთელები დღესაც ითამაშებენ და „კიოლნთანაც“.

საერთოდ, ამხანაგურ მატჩებზე ბილეთის ფასიც ამხანაგურია. „ფრაიბურგი“ — საქართველოზე დასაჯდომ სკამებზე ბილეთი 25 მარკა ღირს, დასადგომი — 10. 14 წლამდელებს თამაშის ნახვა უფასოდ შეეძლებათ. „იმედი გვაქვს, მატჩს 5000 ქომაგი დაესწრება“ — ამბობს რეტიგი.

**ვანო ოქროპირიძე**

*„სპორტული კლუბების ან ცალკეული სპორტსმენების პატრონი, სპორტულ თამაშთა მომწყობი“ — ასეც განმარტება ინგლისური სიტყვა „მენეჯერი“ სპორტში.*

*ჩვენში, საფეხბურთო სამყაროში კი მენეჯერის მცნება გუკულმართებულია. ის ასოცირდება პიროვნებასთან, რომელიც ფეხბურთელებს უცხოეთში ჰყიდის, ასე ვთქვათ, დაინტერესებულ და პატრონ კლუბებს შუამავლობს და ტრანსფერიდან რაღაც წილი ერგება.*

*ამას წინათ ქუთაისის „ტორპედომ“ კლუბში ერთი ახალი შტატი დაუშვა — გენერალური მენეჯერის. ამ თანამდებობაზე კი საქართველოს ჩემპიონებმა საქართველოს ნაკრებისა და ვლადიკავკაზის „ალანიას“ მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი დანიშნეს. ისიც საქმეს შეუდგა და არა იმგაგებით, როგორც საფეხბურთო სამყაროშია დამკვიდრებული, არამედ ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, ყოველ შემთხვევაში, თავად ასე გვითხრა, როცა ინტერვიუ ვთხოვეთ.*

*კარგა ხანია, ვლადიმერ გუცაევთან არ გვისაუბრია, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მას შემდეგ, რაც მან საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა აღარ ისურვა.*

*გუშინ კი ადრე მწვრთნელს, ახლა გენერალურ მენეჯერს გაწკრიალებულ, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ქუთაისის „ტორპედოს“ ოფისში მივაკითხეთ.*

# ტორპედო და გუცაევი არ ხუმრობენ



„ნიუკასლის“ მწვრთნელი ბობი რობსონი და ვლადიმერ გუცაევი

— ეს „ტორპედოს“ ოფისია?

— აბა, როგორ. ახლა კიდევ ვაპირებთ გაფართოებას და მერე ნახეთ.

**— „ტორპედო“ აღარ ხუმრობს...**

— შორსმიმავალი გეგმები გვაქვს და, როგორ ფიქრობთ, ასეთ კლუბს, ასეთი ოფისი არ უნდა ჰქონდეს? ცოტა ხანში ქუთაისშიც მუშაობის ასეთივე პირობები გვექნება.

**— „ტორპედოში“ როგორ მოხვდით?**

— შარშან ზაფხულში იყო ჩემს „ტორპედოს“ მენეჯერობაზე ლაპარაკი, მაგრამ მაშინ სხვა საქმე მქონდა, მოგეხსენებათ, არაბეთში ვიყავი. იქიდან დაბრუნების შემდეგ კი „ალანიას“ მწვრთნელი გავხდი. იქ საქმეები როგორც მსურდა, ისე ვერ აეწყო და ისევ საქართველოში ჩამოვედი. სწორედ ამ დროს „ტორპედოს“ დირექტორატმა მენეჯერობა ერთხელაც შემომთავაზა. ვიფიქრე და დავთანხმდი. მე „ტორპედოს“ გენერალური მენეჯერი ვარ.

**— რა გევალებათ?**

— კლუბის საქმიანობა მე მიმყავს, რა თქმა უნდა, დირექტორატთან და პრეზიდენტთან შეთანხმებით. ევროპულ კლუბებში რასაც მენეჯერები აკეთებენ, იმავეს ვსაქმიანობ „ტორპედოში“, თითქმის ყველაფერს, რაც კლუბთანაა დაკავშირებული. ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირის დროს გუნდის უფროსად რომ იწოდებოდა, „ტორპედოში“ ასეთი გენერალური მენეჯერია.

**— გუნდის უფროსობის გამოცდილება კი გაქვთ...**

— დიახ, თბილისის „დინამოში“ ხომ ამ თანამდებობაზე ოთხი წელი ვიმუშავე.

**— ჭორია, თითქოს გუცაევმა „ტორპედოში“ ყიფიანი უნდა შეცვალოსო...**

— „ტორპედოში“ ყველამ კარგად იცის თავის საქმე. ჩემს მწვრთნელობაზე ჯერჯერობით ლაპარაკიც ზედმეტია. „დინამოსთან“ მატჩისას კი პირველ სკამზე ვიჯდებოდი თუ ბოლოზე, ამაზე არ ღირს ყურადღების გამახვილება. „დინამოსთან“ თამაშის დღეს ყიფიანი, უბრალოდ, ავად იყო და მის არფოყნაში იმ სკამზეც მე ვიჯექი.

**— ახლა მენეჯერი ბრძანდებით. მწვრთნელობას აღარ აპირებთ?**

— ეს ცხოვრებამ მოიტანა. ხვალ სად წახვალ კაცი, არ იცი. ჩვენ, „ტორპედოს“, დიდი გეგმები გვაქვს, რამდენიმეწლიანი პროგრამა იმისა, რომ გუნდი ევროპულ დონეს მივუახლოვოთ. აქედან გამომდინარე... ისე კი, ვფიქრობ სამწვრთნელო საქმიანობის გაგრძელებას. ცხოვრება ყველაფერს გვკარნახობს.

**— „ალანიადან“ რატომ წამოხვედით?**

— მოდით, ამაზე ბევრს ნუ ვილაპარაკებთ. იყო ობიექტურ-სუბიექტური მიზეზები, რის გამოც ვლადიკავკაზიდან წამოსვლა ვამჯობინე.

**— მაინც?**

— ფინანსური პრობლემები. აგერ, ახლაც ფეხბურთელებს ოხთი თვის ხელფასი არ აუღიათ. გარდა ამისა, პირველი ექვსი თამაში „ალანიამ“ ისე ვერ ჩაატარა, როგორც მსურდა, ბოლოს კი შინ, მოსკოვის „დინამოსთან“ წაგების შემდეგ, აჯობებდა, „ალანია“ დამეტოვებინა.

**— „ალანიასთან“ ურთიერთობა საბოლოოდ გაწყვიტეთ?**

— არა, ახლაც ხშირი კონტაქტი მაქვს კლუბის პრეზიდენტ ბითაროვთან.

**— მაშ, ამას გკითხავთ — „ალანია“ აშვეთიასა და წერეთელს დისკვალიფიკაციით რატომ ემუქრებოდა, აშვეთია ხომ თქვენ წაიყვანეთ „ალანიაში“?**

— მე ამის თაობაზე არაფერი ვიცოდი. ერთ დღესაც „სარბიელი“ გადავფურცლე და გავიგე, რომ აშვეთია დანიაში გასასინჯად წასულა. თავად გამიკვირდა. მერე ბითაროვის ინტერვიუც წავიკითხე და... იცით, ბითაროვი აშვეთიას ვერ დასჯიდა, ის „ალანიაში“ ნოემბრამდე განათხოვრებულია. მე ბითაროვს შევუთვალე, ეგ ბიჭი უკან დაიბრუნეთ, ან თბილისის „დინამოში“, ანაც ქუთაისის „ტორპედოში“ გამოუშვით-მეთქი. ბითაროვმა კარგა ხანს იფიქრა და გადაწყვიტა, ფეხბურთელი ნოემბრამდე კლუბში დაიტოვოს. მე კი შუაკაცად გამოვედი. ისე, არც აშვეთიას სურდა ვლადიკავკაზში დაბრუნება.

**— ხმა გავრცელდა, თითქოს თქვენ კიევის „დინამოს“ მენეჯერიც იყოთ...**

— არაფერი მსგავსი. კიეველთა ხელმძღვანელებმა მთხოვეს, საქართველოში თუკი ვინმე ისეთი გამოჩნდება, ჩვენს გუნდს რომ მოერგება, მის შესახებ ინფორმაცია შენ მოგვაწოდე, სხვას აღარავის დავეკითხებითო.

**— ისიც ვიცით, თავის დროზე კიევის „დინამო“ ტორპედოელ გიორგი იმედაძეს ეპატიჟებოდაო.**

— მართალია, მაგრამ ჩვენ მათ უარი შევუთვალეთ.

**— რატომ?**

— ჩვენ გავზრდით, დავაოსტატებთ და მერე ვილაპარკოთო, კიეველებს ასე ვუპასუხეთ.

**— კი მაგრამ, კიევის „დინამოში“ უფრო არ გაიზრდება და დაოსტატდება?**

— ვერ გამიგია, ჩვენ მაგათთვის ვმუშაობთ? იმედაძე ჯერ „ტორპედოს“ უნდა გამოადგეს. სხვათა შორის, ყური მოვკარი, თითქოს ოთარ ხიზანეიშვილით კიევის „დინამო“ იყო დაინტერესებული და თითქოს მე მათ ვუთხარი, არ გამოგადგებათ-მეთქი. არადა, მსგავსი არაფერი ყოფილა.

**— მენეჯერს კლუბის სატრანსფერო საქმიანობაზეც უნდა ჰკითხო... რა ხდება ამ მხრივ „ტორპედოში“?**

— ჩვენ ამჟამად სელექციაზე ვმუშაობთ, ვეძებთ ახალგაზრდა 17-18 წლის პერსპექტიულ ბიჭებს, თუმც ორი-სამი გამოცდილი ფეხბურთელის დამატებაზეც არ ვიტყოდით უარს.

**— გამოცდილები უკვე დაიმატეთ, მეკარეები — გრიშიკაშვილი და ტოგონიძე, არადა, ორი მეკარე „ტორპედოს“ უკვე ჰყავდა.**

— გრიშიკაშვილს გუნდის მწვრთნელმა თავად სთხოვა „ტორპედოში“ გადმოსვლა და ისიც დათანხმდა. ტოგონიძეს კი „ბათუმთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და თავად გამოთქვა „ტორპედოში“ მოსვლის სურვილი. ყიფიანმა მას აუხსნა, რომ გუნდში სამი მეკარეა, მაგრამ, მან მაინც არ დაიხია უკან. ახლა ვნახოთ, ვინც იყოჩაღებს, ძირითადშიც ის იქნება, სეზონი ჯერ ახალდაწყებულია.

**— სხვა რა არის „ტორპედოში“ ახალი?**

— გიორგი მეგრელაძე გერმანიის მეორე ბუნდესლიგის ობერჰაუზენის „როტ ვაისში“ უკვე ხუთი დღეა, ვარჯიშობს და დღე-დღეზე უნდა გადაწყდეს, გააგრძელებს თუ არა ის კარიერას გერმანიაში.

**— გავიგეთ, ვლადიმერ გუცაევი მცხეთაში საფეხბურთო ბაზას აშენებსო, მართალია?**

— მართალია. უკვე ორი კვირაა, იქ ბულდოზერები მიწას ასწორებენ. დაგეგმილი მაქვს თანამედროვე, ინგლისური ტიპის, 7-10 ათასიანი სტადიონის აშენება. იქვე იქნება სავარჯიშო მოედნები და სასტუმრო. ეგებ საფეხბურთო სკოლა-ინტერნატიც გავაკეთო, სადაც ბიჭებს ცხოვრების, ვარჯიშისა და კვების ჩაინებული პირობები ექნებათ. ახლა საჭირო საბუთებს ვაგროვებ.

**ძოგა ინასარიძე**

გიო ახვლედიანის სვეტი

## 24 წლის წინათ

ახლა ვფიქრობდი, შემადგენლობა ჩამომეწერა, გოლების ამბავი მომეყოლა, თუ რაიმე კიდევ სხვა, თუნდაც ზეიმის ამბავი და კიდევ რა ვიცი, რა აღარ.

მაშინ თბილისის „დინამო“ კარგი გუნდი იყო. არა, რა თქმა უნდა, აგებდა კიდეც. ჩემპიონიც მოგვიანებით გახდა, მაგრამ უკვე კოჰებში ეტყობოდათ, რომ რაღაცას მოახდენდა. გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავდა, ნოდარ ახალკაცი. სწორედ იმ წელიწადს დანიშნული, უბრალო ლურჯი ფორმა ეცვა, თეთრი საყელოთი და უხარმახარი, მუცელგამობერილი და ოდნავ სასაცილო თეთრი ჭ-თი გულის ფიცარზე.

მაშინ გრძელი თმების, ქილვაშების, ტუჩჩამომცდარი სქელი ულვაშების და შლაქსების დრო იყო. ტრუსები მოკლე და მოტკეცილი ეცვათ, ხოლო ჩივაძე მეექვსე ნომერი იყო. მესამე ნომერი გახლდათ ფირუზ კანთელაძე, რომელიც პენალტებს ურტყამდა და ყველაზე ერთი თავით მაღალი მაინც იყო. რევაზ ჩელებაძე ხშირად გამოდიოდა მეცხრე, მეთერთმეტე და შეცვლაზე კი მეცამეტე ნომრით. კაპიტანი ვახტანგ ჭელიძე იყო, მურთაზ ხურცილავა აღარ იყო გუნდში, გივი ნოდია კი მოსკოვის „ლოკომოტივში“ თამაშობდა. დავით ყიფიანი უკვე მეათე ნომერი იყო, ცენტრფორვარდი, ტანხმელი და მაღალი. გუცაევი... რაც მაშინ გუცაევს კოჰებში ხვდებოდა. მანუჩარ მაჩაიძე — მას ვერავინ ამტვრევდა, ვერასდროს. იმ თამაშზე ის იყო კაპიტანი. მერე კი ოთხი წლის მანძილზე ეკეთა სამკლაური.

ყოველი მორიგი თაობის გულშემატკივარი ელოდა ამას. ყოველი ახალი თაობის თბილისის „დინამო“ მიიწევდა ამისკენ და ყოველ თაობას ერთი ნაბიჯი აკლდებოდა. აკლდებოდა, თუ აკლებინებდნენ. მაშინ უფრო ასე იყო. გამოჩნდებოდა ვინმე ცაპოვეცკი და უბრძანებდნენ — ისიც არ მიუშვებდა. ცაპოვეცკი მსაჯი იყო დიდი ხნის წინათ.

მაშინ იმ ხნისა ვიყავი, ფეხბურთის შეყვარებას რომ იწყებდნენ, ჰოდა, ახლაღა მივხვდი, ჩვენმა თაობამ ფეხბურთის სიყვარული გამარჯვებით დაიწყო. მერე შევეჩვიეთ. შეგვაჩვია ამ გუნდმა. პირველი კი სწორედ ეგ იყო — 3 სექტემბრის საღამო, 1976 წელი. „დინამომ“ საბჭოთა კავშირის თასი მოიგო, „ლუჟნიკებზე“, „არარატს“ სამი უპასუხო გოლი გაუტანა. პირველად მოიგო თავის ისტორიაში.

იყო ცნობილი ფოტო: გაოფლილი გუნდი, თასის გარშემო. სველი ლურჯი მაისურები. მაშინ არ იყო „ადიდასის“, „დიადორას“ და „ნაიკის“ ოფლის შემწოვი სამოსი. ჩვენთან, ყოველ შემთხვევაში. მომდევნო წლიდან გაჩნდა. მაშინ კი არ იყო, ოცდაოთხი წლის წინათ.

საქართველოს 12 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი წრე
2 ტური
ანონსი

# დაწყებამდე აირია

## ფედერაცია უფულოებს ელოდება და ფულიანთ ალოდინებს

გორი. „ქართლი". 3 სექტემბერი. 18 საათი

### თორი — ცხინვალი

მსაჯები: ზ. ჯვარიძე; ა. ნონიკაშვილი, ვ. ელისაბედაშვილი; ო. ხეცაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. ფიფია

ზესტაფონი. „მარგვეთი". 3 სექტემბერი. 18 საათი

### მეტალურგი — შუქურა

მსაჯები: კ. მქსხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

თბილისი. „მეშჩაიდი" ან „ისანი". 3 სექტემბერი. 18 საათი

### თბილისი — სამგურალი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. მიქელთაძე გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ბ. ბრეგვაძე (ქიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: უ. ფურცელაძე

— **პირველი** ლიგის ჩემპიონატი, როგორც ადრე ვწერდით, უეჭველად 3 სექტემბერს 12 გუნდით დაიწყება. არ შემდგარა პირველი ტური, რომელიც ერთ-ერთ სარეზერვო დღეს გაიმართება. პირველლიგელები ნელ-ნელა ავსებენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სალაროს. ჩემპიონატში მონაწილეობისთვის საჭირო 12 ათასი ლარი 12 გუნდიდან, ავად თუ კარგად თერთმეტმა უკვე გადაიხადა. დარჩა მხოლოდ თბილისის ასკ, ყოფილი „არსენალი" — თავდაცვის სამინისტროს გუნდი. გუშინ ფედერაციას წყალტუბოს „სამგურალის", ზუგდიდის „დინამოს" და „თბილისის" წარმომადგენლები ესტუმრნენ და ანგარიში ბოლომდე გაასწორეს. თითქმის მთლიანად აქვს საწევრო შეტანილი ბორჯომის „თორსაც". ფედერაცია ასკ-ს ორ დღესაც ადროვებს და თუ თბილისელებმა ეს 12 ათასი ვერ შეაკოწიწეს, მაშინ მათ ნაცვლად პირველ ლიგაში ან სოხუმის „ცხუმი", ან ფოთის „კოლხეთი 2" ითამაშებს. ყოველ შემთხვევაში, პირველლიგელობის დიდი სურვილი აქვთ და 12 ათასის გადახდის გარანტიასაც იძლევიან. მართალია, ფული 11 გუნდს გადაუხდია, მაგრამ ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტში თორმეტივე გუნდს შეუტანია განაცხადი.

ეს ინფორმაცია ჩვენი გაზეთის მკითხველმა გუშინდელ „სარბიელში" წაიკითხა და რა თქმა უნდა, იგი ჰაერიდან არავის მოუტანია. ყოველივე ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, ჩვენ კი მკითხველს ვაცნობეთ.

არა არს დაფარულიო, თქმულა და ქართულ საფეხბურთო სამყაროში აქამდე გაუცხადებელი რა დარჩენილა, ეს რომ მიჩქმალულიყო. გუშინ ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტს დიდი თავსატეხი გაუჩნდა. ფულის შეტანის ბოლო ვადად 1 სექტემბრის საღამოს ხუთი საათი იყო დაკანონებული. ასკ-ს ხელმძღვანელები ამ დროისთვის ფედერაციაში ჯერაც არ გამოჩენილიყვნენ თუმცა საშეჯიბრო კომიტეტს სანერვიულო სხვაც ჰქონდა — წყალტუბოს „სამგურალისგან" საგარანტიო წერილი იგვიანებდა, ბოლოს კი მოვიდა (თუ მოიტანეს) ის ფურცელი, მაგრამ ამით საშეჯიბრო კომიტეტის პრობლემა არ ამოწურულა. ბოლო წუთს გავიგეთ, რომ ფული არც წნორის „მილანს" და ზუგდიდის „დინამოს" ჰქონია გადახდილი.

ეს კი ძალიან მოულოდნელი იყო. იტალიურ „მილანთან" დაძმობილებაო, ახალი სტადიონიო, თითქმის სამი თვით შეკრებაზე ვიყავითო და უცბად, 12 ათასის გადახდა ახლა არ შეგვიძლია, ერთი კვირა გვადროვეთო.

ზუგდიდელებისა მთლად გაგვკვირვებია. ერთმანეთს თითქმის მტრად მოეკიდნენ, რათა პირველ ლიგაში გამსვლელი მეორე ადგილი (პირველი ქობულეთის „შუქურამ" თავიდანვე დაიბევა) რომელიმეს დაესაკუთრებინა. ბოლოს „დინამომ" კი იძალა, მაგრამ მეტად მსუბუქი ჯიბე ჰქონია და...

მე, თუ მკითხავთ, მიჭირს დაჯერება, რომ საწევრო შესატანი თორმეტიდან რვა გუნდს მაინც აქვს გადახდილი. გუშინ ფედერაციაში რაღაც საგარანტიო საბანკო წერილებზე იყო ლაპარაკი და დარწმუნებული ვარ, პირველლიგელთა უმრავლესობას სწორედ ასეთი ფურცელი აქვს ფედერაციაში წარდგენილი, რომელიც საქმე-საქმეზე რომ მიდგება უმეტეს შემთხვევაში ფარატინა ქაღალდად იქცევა ხოლმე. ასე იყო ადრე, ალბათ ახლაც ასე იქნება.

ვინ უნდა გამტყუნდეს არსებულ ვითარებაში? გვინდა თუ არა, დამნაშავედ ფედერაციას მივიჩნევთ. სწორედ ფედერაციაში უნდა უწყოდნენ ქართული კლუბების ამბავი. შეცდებით, თუ იფიქრებთ, რომ მათ თავიანთი ხელქვეითების ამბავი ხუთი თითივით არ იციან. იციან, როგორ არა, მაგრამ მაინც ებლაუჭებიან ისეთ გუნდებს, რომლებიც განწირული და დასაღუპად გამზადებულია.

კარგი, წნორელები რომ ფულს არ გადაიხდიდნენ, არავინ ელოდა, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს ხომ კარგა ხანია, არ ეფეხბურთება, განა ეს ვინმესთვის დაფარული იყო? „არსენალს" პატრონი დროზე რომ გასჩენოდა, უძლიერესთა რიგებს არ დააკლდებოდა. ახლა ასკ გახდა თავში საცემი.

არადა, სამსაჯო კომიტეტმა 3 სექტემბრისთვის მსაჯები და კომისრები გაამზადა. გუშინ ის იყო საფიქრალი, 6 მატჩიდან რომელი ჩაიშლებოდა, რათა მსაჯები წინასწარ გაეფრთხილებინათ, ქალაქიდან ქალაქში ტყუილად არ ევლოთ. კიდევ კარგი, გუშინვე გადაწყდა: „მილანი" — „კოლხეთი", ასკ — „ოკეანე" და „გურია" — „ზუგდიდი" 6 სექტემბრისთვის გადაიდო. მანამდე ფედერაცია ან ფულს მიიღებს ზუგდიდ — თბილის — წნორელებისგან ან-აც...

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, პირველ ლიგაში თამაშის მსურველი ხუთიოდ გუნდი დამატებით მოგვეპოვებაო, რომელითაც თურმე საწევრო 12 ათასი ხელთ აქვთ და ბევრი სხვა სიკეთეც არ აკლიათ. მაგალითისთვის სოხუმის „ცხუმი" და ფოთის „კოლხეთი 2" კმარა გვათამაშეთო რომ იხვეწებიან.

პირველი ლიგა ჯერ არ დაწყებულა და უკვე წყალი შეუდგა, უმაღლესი ისეთია, მტერს გაახარებს და მოყვარეს გულს მოუკლავს. რეგიონალურ ლიგაზე სულაც არაფერია სათქმელი.

დრო კი გარბის და ქართულ ფეხბურთში საქმეები შეუმჩნევლად, მაგრამ უსაშველოდ ირევა.

**მამუკა ძგანტალიანი**



გადარი კოთილაძის ფოტო

საქართველოს თასის მფლობელი, „ლოკომოტივი 2-გურიას" ივანე ჯულელი (ბურთით)

### საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის განცხადება

გუშინ, საღამოს, სფფ-ს საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილებით პირველი ლიგის მეორე ტურის სამი მატჩი, „მილანი" — ხობის „კოლხეთი", ასკ — „ოკეანე", „ლოკომოტივი 2-გურია" — ზუგდიდის „დინამოს" კვირას გასამართი მატჩები 6 სექტემბრისთვის გადაიდო.

ჩემპიონატს 3 სექტემბერს ექვსი გუნდი დაიწყებს: „თორი" — „ცხინვალი", „მეტალურგი" — „შუქურა", „თბილისი" — „სამგურალი". რაც შეეხება პირველ ექვსეულს, მხოლოდ „მილანს", ასკ-ს და ზუგდიდის „დინამოს" არ აქვთ შემოტანილი ჩემპიონატში მონაწილეობის თანხა (ხობის „კოლხეთმა", სამტრედიის „ოკეანემ" და ლანჩხუთის „ლოკომოტივი 2-გურიას" კარგა ხანია ეს თანხა შემოტანილი აქვთ).

ორშაბათს, 4 სექტემბერს სფფ-ს საგანგებო კომიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას „მილანის", ასკ-ს და ზუგდიდის „დინამოს" შესახებ. თუკი ამ გუნდებმა ორშაბათს არ შემოიტანეს ჩემპიონატში მონაწილეობის თანხა, მათ ნაცვლად ითამაშებენ რეგიონალური ლიგის ის გუნდები, რომლებიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებენ პირველი ლიგის მოთხოვნებს. დღესდღეობით ექვსი მსურველი დგას რიგში: ფოთის „კოლხეთი 2", ქუთაისის „ტორპედო 2", ხაშურის „ივერია", თბილისის სა. „იბერია", „ჭაბუკიანი" და სოხუმის „ცხუმი"-

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური*

| პირველი წრე | მეორე წრე |
|---|---|
| **პირველი ტური** | **მეთორმეტე ტური** |
| გადადებულია | 27 ოქტომბერი, პარასკევი |
| თბილისი — თორი | თორი — თბილისი |
| სამგურალი — მეტალურგი | მეტალურგი — სამგურალი |
| შუქურა — გურია | გურია — შუქურა |
| ზუგდიდი — ასკ | ასკ — ზუგდიდი |
| ოკეანე — მილანი | მილანი — ოკეანე |
| ხობი — ცხინვალი | ცხინვალი — ხობი |
| **მეორე ტური** | **მეცამეტე ტური** |
| 3 სექტემბერი, კვირა | 3 ნოემბერი, პარასკევი |
| თორი — ცხინვალი | ცხინვალი — თორი |
| მეტალურგი — შუქურა | ხობი — მილანი |
| თბილისი — სამგურალი | ოკეანე — ასკ |
| 06.09 მილანი — ხობი | ზუგდიდი — გურია |
| ასკ — ოკეანე | შუქურა — მეტალურგი |
| გურია — ზუგდიდი | სამგურალი — თბილისი |
| **მესამე ტური** | **მეთოთხმეტე ტური** |
| 9 სექტემბერი, შაბათი | 10 ნოემბერი, პარასკევი |
| სამგურალი — თორი | თორი — სამგურალი |
| შუქურა — თბილისი | თბილისი — შუქურა |
| ზუგდიდი — მეტალურგი | მეტალურგი — ზუგდიდი |
| ოკეანე — გურია | გურია — ოკეანე |
| ხობი — ასკ | ასკ — ხობი |
| ცხინვალი — მილანი | მილანი — ცხინვალი |
| **მეოთხე ტური** | **მეთხუთმეტე ტური** |
| 16 სექტემბერი, შაბათი | 18 ნოემბერი, შაბათი |
| თორი — მილანი | მილანი — თორი |
| ასკ — ცხინვალი | ცხინვალი — ასკ |
| გურია — ხობი | ხობი — გურია |
| მეტალურგი — ოკეანე | ოკეანე — მეტალურგი |
| თბილისი — ზუგდიდი | ზუგდიდი — თბილისი |
| სამგურალი — შუქურა | შუქურა — სამგურალი |
| **მეხუთე ტური** | **მეთექვსმეტე ტური** |
| 20 სექტემბერი, ოთხშაბათი | 24 ნოემბერი, პარასკევი |
| შუქურა — თორი | თორი — შუქურა |
| ზუგდიდი — სამგურალი | სამგურალი — დინამო |
| ოკეანე — თბილისი | თბილისი — ოკეანე |
| ხობი — მეტალურგი | მეტალურგი — ხობი |
| ცხინვალი — გურია | გურია — ცხინვალი |
| მილანი — ასკ | ასკ — მილანი |
| **მეექვსე ტური** | **მეჩვიდმეტე ტური** |
| 24 სექტემბერი, კვირა | 28 ნოემბერი, სამშაბათი |
| თორი — ასკ | ასკ — თორი |
| გურია — მილანი | მილანი — გურია |
| მეტალურგი — ცხინვალი | ცხინვალი — მეტალურგი |
| თბილისი — ხობი | ხობი — თბილისი |
| სამგურალი — ოკეანე | ოკეანე — სამგურალი |
| შუქურა — ზუგდიდი | ზუგდიდი — შუქურა |
| **მეშვიდე ტური** | **მეთვრამეტე ტური** |
| 30 სექტემბერი, შაბათი | 3 მარტი, შაბათი |
| ზუგდიდი — თორი | თორი — ზუგდიდი |
| ოკეანე — შუქურა | შუქურა — ოკეანე |
| ხობი — სამგურალი | სამგურალი — ხობი |
| ცხინვალი — თბილისი | თბილისი — ცხინვალი |
| მილანი — მეტალურგი | მეტალურგი — მილანი |
| ასკ — გურია | გურია — ასკ |
| **მერვე ტური** | **მეცხრამეტე ტური** |
| 4 ოქტომბერი, ოთხშაბათი | 9 მარტი, პარასკევი |
| თორი — გურია | გურია — თორი |
| მეტალურგი — ასკ | ასკ — მეტალურგი |
| თბილისის — მილანი | მილანი — თბილისი |
| სამგურალი — ცხინვალი | ცხინვალი — სამგურალი |
| შუქურა — ხობი | ხობი — შუქურა |
| ზუგდიდი — ოკეანე | ოკეანე — ზუგდიდი |
| **მეცხრე ტური** | **მეოცე ტური** |
| 8 ოქტომბერი, კვირა | 17 მარტი, შაბათი |
| ოკეანე — თორი | თორი — ოკეანე |
| ხობი — ზუგდიდი | ზუგდიდი — ხობი |
| ცხინვალი — შუქურა | შუქურა — ცხინვალი |
| მილანი — სამგურალი | სამგურალი — მილანი |
| ასკ — თბილისი | თბილისი — ასკ |
| გურია — მეტალურგი | მეტალურგი — გურია |
| **მეათე ტური** | **ოცდამეერთე ტური** |
| 13 ოქტომბერი, პარასკევი | 21 მარტი, ოთხშაბათი |
| თორი — მეტალურგი | მეტალურგი — თორი |
| თბილისი — გურია | გურია — თბილისი |
| სამგურალი — ასკ | ასკ — სამგურალი |
| შუქურა — მილანი | მილანი — შუქურა |
| ზუგდიდი — ცხინვალი | ცხინვალი — ზუგდიდი |
| ოკეანე — ხობი | ხობი — ოკეანე |
| **მეთერთმეტე ტური** | **ოცდამეორეტური** |
| 20 ოქტომბერი, პარასკევი | 25 მარტი, კვირა |
| ხობი — თორი | თორი — ხობი |
| ცხინვალი — ოკეანე | ოკეანე — ცხინვალი |
| მილანი — ზუგდიდი | ზუგდიდი — მილანი |
| ასკ — შუქურა | შუქურა — ასკ |
| გურია — სამგურალი | სამგურალი — გურია |
| მეტალურგი — თბილისი | თბილისი — მეტალურგი |

„ლოკომოტივი 2" „გურიას" შეუერთდა და ლანჩხუთში გადაბარგდა

# საქართველოს XII ჩემპიონატი. პირველი ლიგა. განაცხადები

ფეხბურთის ფედერაციამ ჯერჯერობით მხოლოდ იმ ცხრა გუნდის განაცხადი გაამხილა, რომელთა პირველ ლიგაში თამაში უკვე გადაწყვეტილია. დანარჩენი სამი გუნდის სრულ შემადგენლობას კი მას შემდეგ გაახლებთ, რაც მათი ვინაობა და ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხი გაირკვევა.

## გურია ლანჩხუთი

პრეზიდენტი: ვასილ ხაჭაპურიძე
მწვრთნელი: ზაზა გურიელიძე

| | | | |
|---|---|---|---|
| თამაზ გაბრიჭიძე | 08.02.68 | 184 | 72 |
| ალექსანდრე განევი | 19.07.74 | 174 | 70 |
| მირიან გეწაძე | 04.05.72 | 178 | 71 |
| შერმადინ დანელია | 04.05.75 | 178 | 71 |
| გუბაზ დოლიძე | 06.11.69 | 180 | 74 |
| ზვიად ენდელაძე | 07.04.66 | 176 | 71 |
| მალხაზ ვოსკანოვი | 07.09.70 | 169 | 67 |
| გრიგოლ კირკიტაძე | 19.03.77 | 179 | 72 |
| მერაბ კუკულაძე | 12.12.69 | 174 | 73 |
| თეიმურაზ ლორია | 18.08.71 | 187 | 78 |
| დავით მინაშვილი | 10.05.76 | 177 | 72 |
| მიხეილ მუმლაძე | 13.10.78 | 179 | 69 |
| თენგიზ პატარაია | 11.02.64 | 180 | 70 |
| ირაკლი ფაცურია | 22.12.77 | 174 | 66 |
| ზვიად ქიქავა | 17.10.73 | 172 | 70 |
| გოჩა სულაკაძე | 28.05.78 | 177 | 63 |
| მალხაზ ღონღაძე | 14.11.69 | 178 | 72 |
| ლაშა ჩხაიძე | 09.12.79 | 188 | 77 |
| დავით ჩხეტია | 03.03.68 | 177 | 69 |
| გიორგი ძნელაძე | 30.08.68 | 180 | 78 |
| ივანე ჯულელი | 14.04.67 | 175 | 68 |
| მამუკა ჯღარკავა | 24.06.71 | 174 | 72 |

## თბილისი

პრეზიდენტი: მალხაზ ლომთაძე
მწვრთნელი: რევაზ გაგუა

| | | | |
|---|---|---|---|
| მიხეილ აბრამიშვილი | 09.06.82 | 174 | 66 |
| ზურიკო გაფრინდაშვილი | 17.06.82 | 178 | 68 |
| ვახტანგ გოგმაჩიძე | 30.09.83 | 180 | 70 |
| ლაშა კაპანაძე | 12.05.82 | 176 | 66 |
| ბესარიონ კოდალაევი | 24.11.82 | 188 | 78 |
| ზვიად კუპატაძე | 79.10.25 | 172 | 65 |
| ვლადიმერ მისაბიშვილი | 17.05.82 | 173 | 65 |
| ავთო მუმლაძე | 05.06.81 | 182 | 70 |
| გელა მჟავანაძე | 10.10.81 | 179 | 70 |
| ზურაბ ნიქურაძე | 12.04.83 | 192 | 80 |
| ბექა სალარეიშვილი | 19.09.82 | 174 | 68 |
| ირაკლი სახურია | 03.01.82 | 172 | 60 |
| ირაკლი სიხარულიძე | 19.09.82 | 174 | 68 |
| დავით სტურუა | 15.09.82 | 182 | 78 |
| დავით ტყებუჩავა | 23.02.83 | 190 | 80 |
| პაატა ფირცხალავა | 08.01.81 | 172 | 65 |
| აკაკი ქუხილავა | 29.01.83 | 168 | 60 |
| დავით შენგელია | 27.07.83 | 172 | 61 |
| გიორგი ჩალაძე | 05.01.79 | 179 | 71 |
| გიორგი ჭიაბრიშვილი | 07.10.79 | 170 | 65 |
| ნიკოლოზ ჯღარკავა | 26.05.83 | 175 | 70 |

## თორი ბორჯომი

პრეზიდენტი: იური გიორგაძე
მწვრთნელი: კობა თედიაშვილი

| | | | |
|---|---|---|---|
| რევაზ გლუნჩაძე | 30.04.75 | 178 | 74 |
| თენგიზ დოლიძე | 16.02.72 | 180 | 75 |
| დავით ელისაშილი | 23.01.77 | 184 | 78 |
| გიორგი ზარანდია | 27.03.76 | 178 | 75 |
| დავით ვარდიაშვილი | 03.10.75 | 178 | 74 |
| დავით ზაქარეიშვილი | 29.05.73 | 175 | 70 |
| დავით თალაკვაძე | 28.01.78 | 180 | 82 |
| ირაკლი კვირკველია | 24.12.84 | 176 | 55 |
| ავთო ლაბაძე | 28.05.73 | 190 | 86 |
| დიმიტრი ლეკიშვილი | 17.10.81 | 180 | 68 |
| გურამ ლომიძე | 05.09.75 | 174 | 62 |
| ლევან ნამგალაძე | 27.12.84 | 177 | 56 |
| ვასილ პავლიაშვილი | 28.09.74 | 178 | 65 |
| გიორგი რცხილაძე | 22.05.78 | 181 | 79 |
| გიორგი სეფერთელაძე | 03.11.81 | 176 | 58 |
| კირილე სულავა | 22.03.78 | 186 | 82 |
| ვასილ ფირცხალავა | 13.09.70 | 183 | 82 |
| ზაზა ქობესაშვილი | 12.09.78 | 183 | 74 |
| დავით შალიკაშვილი | 24.09.71 | 176 | 63 |

## მეტალურგი ზესტაფონი

პრეზიდენტი: ნუგზარ მდივანი
მწვრთნელი: ვასილ ჭეიშვილი

| | | | |
|---|---|---|---|
| დიმიტრი აბაზაძე | 29.05.72 | 185 | 75 |
| დავით აჭარაძე | 13.09.78 | 175 | 75 |
| დავით ბაქრაძე | 06.06.79 | 177 | 71 |
| ნოდარ ბუხსიანიძე | 01.11.81 | 183 | 77 |
| შოთა გავაშელიძე | 06.05.81 | 184 | 77 |
| გრიგოლ გვაზავა | 30.08.76 | 182 | 75 |
| შოთა გოგაძე | 21.05.77 | 176 | 74 |
| გენადი კაციაშვილი | 21.05.77 | 172 | 65 |
| გოჩა კვანტრიშვილი | 10.01.83 | 175 | 60 |
| პაატა ლურსმანაშვილი | 09.03.71 | 181 | 76 |
| ლევან მახათაძე | 24.11.80 | 192 | 81 |
| გიორგი მემარნიშვილი | 28.03.82 | 180 | 75 |
| ლევან მერაბაშვილი | 22.02.79 | 188 | 78 |
| ნიკოლოზ მოდებაძე | 06.05.77 | 175 | 75 |
| ირაკლი მშვენიერაძე | 26.08.83 | 179 | 69 |
| მამუკა ნიქაბერიძე | 06.02.69 | 176 | 66 |
| თამაზ ოდიკაძე | 16.05.78 | 189 | 81 |
| გიგა ორმოცაძე | 11.01.77 | 170 | 67 |
| გიორგი ფანცხავა | 16.05.74 | 176 | 70 |
| გიორგი ქურციკიძე | 61.05.78 | 177 | 71 |
| იაგორ ძიძიკაშვილი | 27.01.78 | 168 | 63 |
| დიმიტრი ჭანკვეტაძე | 17.05.81 | 172 | 63 |

## ოკეანე სამტრედია

პრეზიდენტი: მურმან ძნელაძე
მწვრთნელი: კახა ელაშვილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰამლეტ ბზიკაძე | 26.07.82 | 177 | 70 |
| დავით გაბედავა | 10.02.83 | 170 | 64 |
| სპარტაკ გოგია | 11.12.78 | 180 | 76 |
| ირაკლი გოგიბერიძე | 19.02.81 | 176 | 70 |
| ირაკლი თავაძე | 14.02.82 | 174 | 68 |
| კოტე თოდაძე | 10.07.75 | 175 | 66 |
| რამაზ კაცაძე | 16.05.76 | 180 | 73 |
| ზვიად კრავეიშვილი | 02.07.75 | 168 | 61 |
| დავით ლორთქიფანიძე | 18.11.71 | 174 | 67 |
| ილია მალალურაძე | 30.04.77 | 176 | 70 |
| თემურ მაღლაკელიძე | 26.02.81 | 178 | 70 |
| მამუკა მესიაჩენკო | 14.09.74 | 180 | 72 |
| ზაზა ტონია | 31.05.72 | 174 | 66 |
| ზურაბ ფირცხალაიშვილი | 01.04.82 | 168 | 63 |
| ოთარ ფხაკაძე | 25.03.77 | 172 | 65 |
| მახარე ქიმაძე | 06.01.79 | 176 | 67 |
| ვახტანგ ჩიგოგიძე | 15.04.83 | 168 | 62 |
| დავით ძიძიგური | 27.01.82 | 186 | 75 |
| არჩილ ჭკუასელი | 09.08.77 | 181 | 75 |
| ირაკლი ჯიქია | 28.09.82 | 188 | 78 |
| ზაზა ჯიქიძე | 12.03.80 | 170 | 65 |
| ირაკლი ჯულაყიძე | 22.07.82 | 182 | 78 |

## სამგურალი წყალტუბო

პრეზიდენტი: გრიგოლ ქათამაძე
მწვრთნელი: იასონ ბზიკაძე

| | | | |
|---|---|---|---|
| შოთა ბაბუნაშვილი | 17.11.80 | 178 | 68 |
| რატი ბარაბაძე | 11.01.84 | 178 | 70 |
| ოთარ ბარდაველიძე | 20.01.81 | 175 | 68 |
| ბესიკ ბერაძე | 20.02.68 | 172 | 65 |
| თედო ბოდოკია | 14.07.79 | 182 | 72 |
| თორნიკე გიორგაძე | 04.02.81 | 186 | 71 |
| ედიშერ გოლეთიანი | 17.02.82 | 180 | 71 |
| შოთა დარსაძე | 12.02.74 | 178 | 70 |
| გიორგი ზურაბიანი | 16.02.81 | 165 | 57 |
| თემურ თირქია | 26.03.80 | 182 | 71 |
| დავით კაკულია | ??.??.80 | 190 | 70 |
| ნიკოლოზ კიკვაძე | 07.10.79 | 170 | 63 |
| ლევან კოპალიანი | 04.04.83 | 167 | 58 |
| შალვა კუხალაშვილი | 14.07.84 | 179 | 70 |
| პაპუნა მაჭარაძე | 01.08.81 | 175 | 67 |
| მიხეილ ტეხოვი | ??.??.84 | ? | ? |
| შოთა ფუტკარაძე | 09.12.80 | 179 | 71 |
| ზვიად ფხაკაძე | 10.01.77 | 196 | 75 |
| გიორგი ფოფხაძე | 03.08.80 | 180 | 70 |
| ზვიად ქუთათელაძე | 01.08.79 | 168 | 60 |
| ლევან ქობულაძე | 27.01.73 | 180 | ფ71 |
| ჯანბერ ღვინჯილია | 04.05.84 | 181 | 69 |
| ალექსანდრე ღონღაძე | 02.04.77 | 179 | 70 |
| შალვა ღონღაძე | 17.08.78 | 197 | 72 |
| დავით ჭელიძე | 06.09.72 | 177 | 70 |
| მალხაზ ჯინჭარაძე | 20.03.71 | 180 | 72 |
| დომენტი ჯიქია | 10.09.84 | 166 | 59 |

## ცხინვალი

პრეზიდენტი: ირაკლი ბოჭორიძე
მწვრთნელი: რობერტ ამბრიაშვილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნოე არუთინიანი | 01.06.78 | 168 | 61 |
| ბეჟან ბოჭორიძე | 22.03.72 | 170 | 68 |
| გიორგი გელაშვილი | 15.12.82 | 179 | 58 |
| პაატა გვირჯიშვილი | 17.02.78 | 182 | 72 |
| მიხეილ კობაური | 11.06.82 | 185 | 75 |
| დავით მაისურაძე | 30.07.74 | 178 | 75 |
| ზურაბ მაისურაძე | 22.01.72 | 180 | 75 |
| ვიაჩესლავ მარგიევი | 06.01.65 | 170 | 70 |
| როინ მარლიშვილი | 04.09.71 | 170 | 68 |
| მიხეილ მოსიაშვილი | 25.08.69 | 174 | 70 |
| მალხაზ მურადელი | 08.08.73 | 184 | 78 |
| მერაბ ოტიაშვილი | 01.02.82 | 170 | 67 |
| ივანე რაზმაძე | 01.04.82 | 181 | 75 |
| ბადრი ტყემალაძე | 84.04.72 | 178 | 75 |
| სერგო ქესანაშვილი | 10.09.72 | 190 | 90 |
| გიორგი ყაჩლავაშვილი | 25.05.68 | 174 | 72 |
| ირაკლი ჩაჩიბაია | 07.05.81 | 168 | 65 |
| შავლეგ ცხადაძე | 27.06.77 | 177 | 72 |
| გელა წიქარიძე | 30.07.79 | 178 | 72 |
| რევაზ ხაჭაპურიძე | 01.12.74 | 174 | 62 |

## შუქურა ქობულეთი

პრეზიდენტი: გურამ გოგიტიძე
მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი

| | | | |
|---|---|---|---|
| გენადი ბაჟუნაიშვილი | 12.07.75 | 175 | 74 |
| ჯუმბერ ბერიძე | 02.04.72 | 179 | 68 |
| პაატა გაბუნია | 14.03.75 | 184 | 75 |
| ვალერიან გეგეშიძე | 05.02.72 | 180 | 70 |
| გია გოგუა | 05.04.70 | 187 | 78 |
| იმედო გორჯელაძე | 14.11.80 | 168 | 64 |
| დათო დიასამიძე | ??.??.?? | 178 | 68 |
| მიხეილ კაკალაძე | 06.06.82 | 180 | 75 |
| ჯუმბერ კალანდაძე | 01.03.69 | 168 | 60 |
| ზაზა კვეკვესკირი | 18.09.74 | 180 | 74 |
| იგორ კოროტკოვი | 25.09.65 | 168 | 68 |
| ბორის ლომთათიძე | 08.09.76 | 179 | 70 |
| ანზორ მგელაძე | ??.??.?? | 182 | 70 |
| გიორგი მესხიძე | 21.10.82 | 178 | 63 |
| ლაშა ოქროპირიძე | 14.02.79 | 178 | 73 |
| გია პერმინოვი | 18.06.81 | 181 | 76 |
| დავით ფესვიაშვილი | ??.??.?? | 180 | 74 |
| ბადრი ფუტკარაძე | 27.02.71 | 179 | 68 |
| ილო ქუტიძე | 21.01.75 | 186 | 84 |
| გოჩა ყალიჩავა | ??.??.82 | 169 | 62 |
| გიორგი ჩადუნელი | 12.09.72 | 178 | 71 |
| პაატა ჩახუნაშვილი | ??.??.80 | 177 | 72 |
| მანუჩარ ჩელებაძე | 17.03.74 | 182 | 73 |

## ხობი

პრეზიდენტი: მერაბ სალაყაია
მწვრთნელი: ენუქი თევზაძე

| | | | |
|---|---|---|---|
| ზაზა აიანადი | 15.10.77 | 177 | 70 |
| დავით აბაკელია | 10.12.81 | 178 | 73 |
| შავლეგ ახალაია | ??.??.?? | 184 | 76 |
| ბაკურ ბარაშვილი | 31.01.84 | 175 | 70 |
| შოთა გოგია | 05.08.82 | 186 | 78 |
| ლევან ვართაგავა | 10.08.81 | 178 | 72 |
| რომან თოლორდავა | 08.08.7 | 180 | 74 |
| მანუჩარ ტყებუჩავა | 14.03.81 | 180 | 72 |
| აბესალომ ფიფია | 20.10.77 | 174 | 63 |
| რევაზ ქაშიბაძე | 05.01.65 | 176 | 72 |
| ზაზა ლადუა | 02.07.79 | 175 | 78 |
| რომან ყორშია | 02.07.82 | 176 | 72 |
| დავით ჩიტაია | ??.??.81 | 175 | 70 |
| სოსო ჭეჟია | 09.20.76 | 176 | 72 |
| თენგიზ ჭიჭინაძე | 24.02.70 | 174 | 67 |
| ჯენერი ხორავა | ??.??.?? | 176 | 70 |
| კალისტრატე ხურცილავა | 29.02.68 | 175 | 68 |
| იაგო ჯაბუა | 08.12.77 | 175 | 72 |
| ლუხუმ ჯაბუა | 28.04.76 | 175 | 77 |
| ვლადიმერ ჯამბურია | 07.09.80 | 171 | 67 |
| არსენ ჯიქია | 20.04.81 | 176 | 70 |

# იქით გასწავლით ჭკუას...




## ფრანც ბეკენბაუერი ევროკავშირს დასცინის, იუჰანსონი — ინტერს

ფიფას დიდ თათბირს, რომელიც ხუთშაბათს ციურიხში გაიმართა, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თავის აზრს გამოთქვამს ყველა, ვინც ფეხბურთთან არის დაკავშირებული და ლაპარაკიც არ ეზარება, ან კი როგორ დაიზარებენ, როცა მილიონებს თვალსა და ხელს შუა კარგავენ.

თათბირზე გადაწყდა, რომ ფიფა ამ დღეებში ევროკავშირს სატრანსფერო სისტემის ალტერნატიულ ვარიანტს წარუდგენს და მის მიღებას სთხოვს. ამ პროექტით კი 18-დან 24 წლამდე ფეხბურთელებით კლუბები ისევე ივაჭრებენ, როგორც აქამდე, მათზე უმცროსები და უფროსების ყიდვა-გაყიდვა კი აიკრძალება, როგორც ამას ევროკავშირი ითხოვს და მათ ნებისმიერ დროს უკომპესაციოდ შეეძლებათ კლუბის გამოცვლა. ამასთანავე, ფიფა ითხოვს სატრანსფერო სეზონის ვადების მკვეთრად შემცირებას, რათა მისვლა-მოსვლა სულ მთლად უმართავ პროცესად არ იქცეს. გუშინ ვწერდით, რომ ფიფას პრეზიდენტი ამ იდეას, რომელიც ინგლისის პროფესიულ ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტ გორდონ ტეილორს ეკუთვნის, დათანხმდა. თუმცა, ცხადია, უხალისოდ. ევროკავშირელებთან შეხვედრისას ბლატერს ერთი თხოვნაც ექნება, ეგებ ახალ წესებზე გადასვლის დრო გადაწიონ, რათა კლუბებმა უმძიმესი ფინანსური დარტყმის თავიდან ასაცილებლად რაიმე ზომების მიღება მოასწრონ.


ფრანც ბეკენბაუერი

როგორც ზემოთ ვთქვით, ამ თათბირს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ოღონდ საფეხბურთო მოღვაწენი ახალ პროექტზე მსჯელობის ნაცვლად უფრო ევროკავშირის ლანძღვით იოხებენ გულს.

ყველას ფრანც ბეკენბაუერმა აჯობა და ისეთი რამეები თქვა, ძველ დროში უეჭველად დუელში გაიწვევდნენ. „ევროკავშირში ხელმოცარული ადამიანები მუშაობენ — ამბობს კაიზერ ფრანცი — მათ სამშობლოში ვერაფერს მიაღწიეს და ამ ორგანიზაციაში ამიტომ ამოჰყვეს თავი. ფეხბურთს ვინ ჩივის, საერთოდ არაფერზე არა აქვთ წარმოდგენა. სხედან კაბინეტებში და რაღაც სულელურ კანონებს იგონებენ, რეალურ ცხოვრებაში კი საერთოდ ვერ ერკვევიან. არადა, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ, ევროპის მართვა მოინდომეს მაშინ, როცა საკუთარ ქვეყნებში უბრალო გადაწყვეტილების მიღებასაც არ ანდობდნენ."

ასეთივე აზრისაა „მანჩესტერ იუნაიტედის" დირექტორი სერ ბობი ჩარლტონი, მაგრამ წოდება აიძულებს, უფრო თავშეკავებულად ილაპარაკოს: „თავისუფლება კარგი და საჭირო რამ არის, მაგრამ შეზღუდვების სრულად მოხსნა სასიკეთოს არაფერს მოგვიტანს. სამწუხაროა, რომ პოლიტიკოსები ფეხბურთთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ამ სფეროში დაკავებულ ხალხს აზრს არ ეკითხებიან. არადა, სასურველი იქნებოდა. მათ რომ ყურადღებით მოგვისმინონ, ვფიქრობ, ბევრ რამეში დაგვეთანხმებიან და ცვლილებების ნაჩქარევად შეტანას მოერიდებიან."

არსებობს რამდენიმე განსხვავებული მოსაზრებაც. „მანჩესტერ იუნაიტედის" მეორე ლეგენდამ დენის ლოუმ განაცხადა: „აი, ამბობენ, რომ ფეხბურთელები გაუთავებლად დაიწყებენ კლუბების გამოცვლას, ლამის ყოველკვირეულად, მაგრამ ვერ გამიგია, რატომ? „მანჩესტერის" წევრს სხვაგან გადასვლის სურვილი რატომ უნდა გაუჩნდეს, ნუთუ უკეთეს გუნდს იპოვის?" დენის ლოუს ამ კითხვის პასუხი მოიძებნება: ყველა ხომ „მანჩესტერის" დონის კლუბებში არ თამაშობს? მაგრამ საინტერესოა, რა პასუხს გასცემენ უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს, რომელიც მართალია, სატრანსფერო სისტემის გაუქმების მოწინააღმდეგეა, მაგრამ სიმშვიდეს არ კარგავს და ირონიულად ამბობს: „ინტერმა" ასობით მილიონი დოლარი გადაიხადა თავის ვარსკვლავებში, მაგრამ მცირებიუჯეტიან „ჰელსინგბორგთან" მაინც დამარცხდა. მაშ, რა ფასი აქვს ფეხბურთელების ზღაპრულ თანხებად ყიდვა-გაყიდვას?" დაუკვირდები და რაღაცაში, მართალია უეფას პრეზიდენტი.

**გიორგი დარჯანია**


BECKS ON A FREE
FIFA to scrap transfer fees

ბექემი უფასოდ. ასე გამოეხმაურა ფიფას თათბირს გაზეთი „სანი"

# მაკმანამანის ცრემლებმა რეალს გული მოულბო

სტივ მაკმანამანი მაგარი ვინმე აღმოჩნდა. იმდენი ეხვეწა „რეალის" პრეზიდენტსა და მწვრთნელს, არ გამყიდოთო, სანამ თავისი არ გაიტანა. გუშინ სამეფო კლუბმა უეფას შტაბ-ბინაში ჩემპიონთა ლიგისთვის მოთამაშეთა განაცხადი გააგზავნა, რომელშიც მე-8 ნომრად კვლავ ინგლისელია მოხსენებული.

მაკმანამანის გუნდში დატოვებას ვისენტე დელ ბოსკემ კომენტარი გაუკეთა: „სტივს რამდენიმე მიწვევა ჰქონდა, უფრო მაღალ ხელფასსაც სთავაზობდნენ, მან კი „რეალში" დარჩენა ამჯობინა." მოუსმენ მწვრთნელს და იფიქრებ, თითქოს კლუბს მაკმანამანის გაშვება არც სდომებიაო. დელ ბოსკეს ჟურნალისტებმა ჰკითხეს: ეგ ბიჭი შემადგენლობაში კი გყავთ, მაგრამ ათამაშებთ თუ არაო. ულვაშა მწვრთნელმა პასუხს თავი აარიდა, რაც, ალბათ, მაკმანამანის სათადარიგოთა შორის გამწესებას უნდა ნიშნავდეს.

„რეალის" სალიგო შემადგენლობაში სხვა რამეც იქცევს ყურადღებას. კერძოდ, იკერ კასილიასი პირველ მეკარედ ითვლება, მარამ მაინც 25-ნომრიანი მაისურა ერგო. პირველი ნომერი კვლავ ბოდო ილგნერი იქნება. კლუბი ამით ალბათ მიანიშნებს, ძველებს პატივისცემა სჭირდებათო.

**„რეალის" განაცხადი 2000-01 წლების სეზონში**

1. ბოდო ილგნერი; 2. მიჩელ სალგადო; 3. რობერტო კარლოსი; 4. ფერნანდო იერო; 5. მანუელ სანჩისი; 6. ივან ელგერა; 7. რაული; 8. სტივ მაკმანამანი; 9. ფერნანდო მორიენტესი; 10. ლუიშ ფიგუ; 11. სავიო; 12. ივან კამპო; 13. სესარ სანჩესი; 14. გუტი; 15. ჯერემი; 16. ფლავიო კონსეისაო; 17. პედრო მუნიტისი; 18. აიტორ კარანკა; 19. ტოტე; 20. ალბერტ სელადესი; 21. სანტიაგო სოლარი; 22. ალბერტო რივერა; 23. ხულიო სესარი; 24. კლოდ მაკალელე; 25. იკერ კასილიასი


სტივ მაკმანამანი ისევ რეალელია

# გუნდის აღსასრული

ფეხბურთი ძვირადღირებული სიამოვნებაა. არა, ეზოს ფეხბურთს არ ვგულისხმობთ, სადაც შეგიძლიათ ასფალტზე კარის ნაცვლად ორი აგური დადოთ და დილიდან საღამომდე იბურთაოთ. პროფესიულ ფეხბურთზე მოგახსენებთ.

კლუბს, რომელიც ფეხბურთელთა ხელფასებს ვერ იხდის, ფედერაციაშიც კაპიკი ვერ შეაქვს და მევალეებსაც წლობით ემალება, ეროვნულ ჩემპიონატში არაფერი ესაქმება, გინდ პირველ დივიზიონში თამაშობდეს და გინდ მეხუთეში. ეს ყველაფერი იმდენად ცხადია, რომ ევროპაში (შავი ზღვის დასავლეთით) ამ საკითხზე არც კამათობენ.

აი, მაგალითიც: დაარსებიდან 88-ე წელს, ისე, რომ არაფრისთვის მიუღწევია, არსებობა შეწყვიტა ესპანურმა „მერიდამ".

მეორე დივიზიონის ამ გუნდს (წინა სეზონში მეექვსე ადგილზე გავიდა) მოთამაშეების ერთი მილიონი დოლარი მართებდა და გადაუხდელობის გამო ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ის დასაჯა — მესამე დივიზიონში მიუჩინა ბინა. ცხადია, დაქვეითებით კლუბმა ფული ვერ იშოვა და მისმა პრეზიდენტმა გაკოტრების თაობაზე განაცხადა. გაკოტრდა და დაიშალა კიდეც. აღნიშნული მილიონი დოლარის გარდა სხვა მევალეთა 2,68 მილიონიც გადაუხდელი დარჩა.

რა თქმა უნდა, კლუბის ლიკვიდაცია სამწუხარო რამაა. ზოგმა ეგებ, კაპიტალიზმის მგლური კანონებიც ახსენოს, მაგრამ ვალების გაუსტუმრებლობას რომ არავინ გაპატიებს, ესეც ცხადია.

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიურ** „ფიორენტინას" მილანის „ინტერის" ორი ნახევარმცველის — ლუიჯი დი ბიაჯოსა და ბენუა კოეს შეძენა სურს. დი ბიაჯო იტალიის ნაკრების წევრიცაა, მილანურ კლუბში იგი შარშან „რომადან" გადავიდა, 31 წლის კოე კი „ინტერში" თითქმის სამი წელიწადია, თამაშობს. მანამდე იგი „პარი სენ ჟერმენის" ღირსებას იცავდა. „ფიორენტინას" მწვრთნელმა ფატიჰ თერიმმა სეზონის დაწყებამდე ნუნუ გომეში, პაოლო ვანოლი, დომენიკო მორფეო და ამარალი იყიდა, თუმცა ამ უკანასკნელმა შემდეგ ტრავმა მიიღო და ექვს თვეს გააცდენს. გეხსომებათ, ფლორენციელები „ბარსელონადან" ბუდევინ ზენდენის გადაბირებასაც აპირებდნენ, მაგრამ ჰოლანდიელი საბოლოოდ კატალონიაში დარჩა. თერიმს ჩელსელი გაბრიელ ამბროზეტიც მოსწონებია, თუმცა ლონდონურ კლუბთან შეთანხმებას ჯერჯერობით ვერ აღწევს.

**გერმანიის** ვიცე-ჩემპიონმა „ლევერკუზენმა" სოფიის ცსკა-დან ფორვარდი დიმიტარ ბერბატოვი შეიძინა და მასთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 19 წლის მოთამაშის სანაცვლოდ ბუნდესლიგურმა კლუბმა ბულგარელებს 1,7 მილიონი გირვანქა გადაუხადა, თუმცა ბერბატოვი „ლევერკუზენს" ჯერჯერობით არ შეუერთდება. იგი ჯერ, ალბათ, ცსკა-ში დარჩება და გერმანიაში ზამთრის არდადეგებზე, ან სეზონის ბოლოს ჩავა. დიმიტარს ბულგარეთში პერსპექტიულ ფეხბურთელად მიიჩნევენ. სოფიური გუნდის შემადგენლობაში მან 25 შეხვედრა ჩაატარა და 15 გოლი გაიტანა.

**ჰოლანდიურმა** „ჰერენვენმა" „გრონინგენიდან" ნახევარმცველი სანდერ ვან გესელი გადაიბირა. ხელშეკრულება ოთხწლიანია. 23 წლის ფეხბურთელმა „გრონინგენის" შემადგენლობაში 45 მატჩი გამართა და 8 გოლი გაიტანა. არ არის გამორიცხული, მისი დებიუტი ახალ კლუბში ჰოლანდიის ჩემპიონატის მომავალ ტურში შედგეს.

**ბრაზილიელმა** სავიომ განაცხადა, რომ მადრიდის „რეალთან" კონტრაქტის დასრულების შემდეგ, ანუ 2003 წელს, სამეფო კლუბთან ახალ ხელშეკრულებას აღარ გააფორმებს. 26 წლის ფეხბურთელს რამდენიმე კლუბი ახლაც ეპატიჟება. მათ შორის არიან „ჩელსი" და „ასტონ ვილა", აგრეთვე ბრაზილიური „კორინთიანსი". „რეალიდან" წასვლა არ მსურს, თუმცა არ ვიცი, რა მოხდება, შესაძლოა კლუბის გამოცვლამ ხვალვე მომიწიოს. კონტრაქტი გაგრძელების თაობაზე ხელმძღვანელებს რამდენჯერმე შევეხმიანე, მაგრამ მათ არაფერი შემოუთავაზებიათ. როცა შეთანხმება დამისრულდება, სამეფო კლუბში, ალბათ, აღარ დავრჩები" — თქვა სავიომ. სულ ახლახან „რეალი" ფორვარდმა როდრიგო ფაბრიმ დატოვა. მადრიდულმა კლუბმა 24 წლის მოთამაშე ერთი სეზონით ლისაბონის „სპორტინგში" გაანათხოვრა.

**იუგოსლაველმა** ფორვარდმა დეიან გოვედარიცამ მუხლის რთული ტრავმა მიიღო და „ვალვაიკს" სეზონის ბოლომდე ველარ დაეხმარება. ექიმების თქმით, 30 წლის ფეხბურთელი დაახლოებით რვა თვეს გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ გოვედარიცა იუგოსლავიის ნაკრების წევრია. ჰოლანდიური კლუბის მწვრთნელმა განაცხადა, რომ დაშავებული თავდამსხმელის შემცვლელის ყიდვას აპირებს.

**ბელგიურმა** „ანდერლეხტმა" „ლოკერენიდან" ფორვარდი სულეიმან იულა ერთი სეზონით ითხოვა, თუმცა ამ ვადის გასვლის შემდეგ შესაძლოა, შეიძინოს და საბოლოოდ თავისთან დაიტოვოს. ბრიუსელურმა კლუბმა „ლოკერენის" ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგაში განაცხადების შეტანის ბოლო ვადამდე გადაიბირა, შედეგად ფორვარდს ევროტურნირეზეც შეეძლება თამაში. ახალგაზრდა იულამ შარშან „ლოკერენის" შემადგენლობაში 14 შეხვედრა ჩაატარა და 9 გოლი გაიტანა. იგი სენეგალის ნაკრების წევრია და ეროვნულ გუნდში ჩატარებულ ექვს მატჩში ექვსჯერ გამოიჩინა თავი.

**უკრაინული** „ნივას" მთავარი მწვრთნელი ვალერი ბოგუსლავსკი გუშინ თანამდებობიდან გაათავისუფლეს, რადგან მისმა გუნდმა ქვეყნის ჩემპიონ კიევის „დინამოსთან" 3:7 წააგო. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში ორივე კლუბიდან ქართველებმა გამოიჩინეს თავი. გიორგი დემეტრაძემ „ნივას" 4 გოლი გაუტანა, ხოლო ტერნოპოლურ გუნდში მოთამაშე ავთანდილ კაპანაძემ და კახა დგებუაძემ კიეველთა კარი თითოჯერ დალაშქრეს. „ნივა" შარშან უმაღლესი ლიგიდან გავარდნას გადაურჩა, წლეულს კი მე-12 ადგილზეა და 8 თამაშიდან მხოლოდ ერთი მოგება აქვს.

**ინგლისური** „ნიუკასლი" თანახმაა, ჩილელი კლარენს აკუნია შეიძინოს, ოღონდ მას შემდეგ, რაც ფეხბურთელი ოთხთვიან დისკვალიფიკაციას მოიხდის. ვარაუდობენ, რომ 25 წლის ჩილელის სანაცვლოდ პრემიერლიგური კლუბი 2 მილიონ გირვანქას გადაიხდის. აკუნია ფიფამ დასაჯა. ფეხბურთელს სისხლში ნარკოტიკის შემცველობა აღმოუჩინეს. თავად ფეხბურთელმა მაშინ თავი გაიმართლა: „მხოლოდ აბები დავლიე, რომელიც ექიმებმა გამომიწერეს, არც მეგონა, თუ იგი ნარკოტიკს შეიცავდა." აკუნიას დისკვალიფიკაციის ვადა 15 სექტემბერს იწურება.

***დღეს და ხვალ სამხრეთამერიკელები 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მერვე ტურს გამართავენ. კალენდარმა გათამაშების ცხრილში საუკეთესო ხუთეულის გუნდები მაჩანჩალა ხუთეულისას შეჰყარა, თუმცა ის, რომ ლიდერები ერთმანეთში არ თამაშობენ, მატჩების მნიშვნელობას არ ამცირებს. ცხრილში ჯერჯერობით დიდი სიმჭიდროვეა. მეორეადგილოსან გუნდს მეშვიდეადგილოსანთან მხოლოდ ორი ქულა ჰყოფს, ამიტომ მერვე ტურმა ერთ კითხვასაც უნდა გასცეს პასუხი: სხვაობა ფავორიტებსა და აუტსაიდერებს შორის გაიზრდება თუ სულაც წაიშლება.***

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი**

**სამხრეთ ამერიკა**

# ქულები თუ ფულები?




**ვენესუელელები! პარაგვაისთან მატჩისწინა ვარჯიშზე სტუმარმა ფეხბურთელებმა ერთმანეთში იჩხუბეს, რისი დასტურიც ჯოვანი სავარესეს დასისხლიანებული სახეა**

## ბრაზილია — ბოლივია

„იდიოტო, იდიოტო!“ — რა ხანია, გაიძახიან ბრაზილიელი გულშემატკივრები ვანდერლეი ლუქსემბურგოს მისამართით. ახლა ნაკრების მწვრთნელისადმი მიმართვის ფორმა შეიცვალა და მას უკვე მექრთამეს უწოდებენ.

რამდენიმე დღის წინ ბრაზილიურ გაზეთებში „ესტადოსა“ და „გლობოში“ გამოქვეყნდა წერილები, რომელთა ავტორებიც ლუქსემბურგოს ქრთამად 100 მილიონი დოლარის აღებაში ადანაშაულებენ.

ადრევე დადიოდა ხმები, ლუქსემბურგო ბრაზილიურ კლუბებში მუშაობის დროს ფეხბურთელთა ტრანსფერებიდან გვარიან თანხას იჯიბავდაო. მაგალითებიც მოჰყავდათ — ფაბიო ჟუნიორის „რომაში“ და ევანილსონის „ბორუსიაში“ გადასვლისას ლუქსემბურგომ რაღაცეები იცულლუტაო.

საზოგადოდ, ბრაზილიაში, როგორც ჩვენთან, ვინმეს კორუმპირება არ უკვირთ და ამ მითქმა-მოთქმას სამართალდამცავთა მხრიდან დაინტერესება არ მოჰყოლია, თუმცა ახლა სხვა საქმეა. მწვრთნელს ადანაშაულებენ, რომ მან ნაკრებშიც აღებ-მიცემობა გააჩაღა და ამ შესარჩევ ციკლში ბრაზილიელთა ცუდი თამაშიც ამის ბრალია. ცნობილია: ეროვნული გუნდი ბრაზილიელებისთვის წმიდათაწმიდა რამ არის და სხვა რამეს თუ აპატიებენ კაცს, ნაკრებში მამაძაღლობას — არა.

ვანდერლეი ლუქსემბურგოზე კი წერენ, რომ ის კლუბებიდან დიდ ფულს იღებს, რათა მათი ფეხბურთელები ნაკრებში მიიწვიოს. გათვლა ასეთია: ბრაზილიის ნაკრებში მოხვედრის მერე ფეხბურთელის ფასი ერთიორად იზრდება.

გაზეთებში გამოქვეყნებული ამ ცნობით პროკურატურა დაინტერესებულა და საქმეს ქვეყნის გენერალური პროკურორი რენატო ალვეში პირადად სწავლობს.

სანამ მექრთამეობის ამბავი საბოლოოდ გაირკვევა, 47 წლის ლუქსემბურგო ნაკრებს ბოლივიასთან სათამაშოდ ამზადებს.

ადრეც ვწერდით, რომ მწვრთნელმა ნაკრებში რომარიო დააბრუნა. ვეტერან ვარსკვლავს, რომელსაც მალე 35 წელი შეუსრულდება, ნაკრებში ორი წელია, არ უთამაშია. მისი ბოლო მატჩი 1998 წლის აპრილში შედგა, როცა ბრაზილია არგენტინას ამხანაგურად გაეჯიბრა. ახლა რომარიო იმიტომ გაიხსენეს, რომ რონალდოს დაშავების მერე გუნდში აღარავინაა, ვისაც გოლის უტყუარი ალღო აქვს. რა ხანია, ნაკრების თადამსხმელებს, რივალდოს ჩათვლით, ბურთები ველარ გააქვთ და ნახევარმცველთა თუ მცველთა იმედად დარჩენილან.

ბრაზილია — ბოლივიის მატჩი რიო დე ჟანეიროს „მარაკანაზე“ გაიმართება და უდავო ფავორიტებად მასპინძლები ითვლებიან. ისე, ლუქსემბურგოს ნაკრები უკვე ისტორიაში შევიდა — ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპზე, პირველი გათამაშებიდან მოყოლებული, მხოლოდ ერთხელ დამარცხებულა (სწორედ ბოლივიასთან), ამ ციკლში კი უკვე ორი წაგება მიითვალა.

**ურთიერთშეხვედრები მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევებში**

| | | | |
|---|---|---|---|
| 17.04.77 | კალი | ბრაზილია — ბოლივია | 8:0 |
| 22.02.81 | ლა პასი | ბოლივია — ბრაზილია | 1:2 |
| 22.03.81 | რიო დე ჟანეირო | ბრაზილია — ბოლივია | 3:1 |
| 02.06.85 | სანტა კრუზი | ბოლივია — ბრაზილია | 0:2 |
| 30.06.85 | სან პაულუ | ბრაზილია — ბოლივია | 1:1 |
| 25.07.93 | ლა პასი | ბოლივია — ბრაზილია | 2:0 |
| 29.08.93 | რესიფე | ბრაზილია — ბოლივია | 6:0 |



**ქულები თუ ფულები... რაზე ფიქრობს ლუქსემბურგო?**

## ურუგვაი — ეკვადორი

ეკვადორის ნაკრები არასდროს გასულა მსოფლიოს ჩემპიონატზე და დიდი სასწაული იქნება, ახლა თუ გააღწია. მართალია, მას 10 ქულა აქვს და მეორეადგილოსან კოლუმბიას მხოლოდ ორით ჩამორჩება, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეკვადორელებს სტუმრად ჯერაც არ მოუგიათ. ამიტომ სავარაუდოა, რომ ისინი ვერც მონტევიდეოში იმარჯვებენ.

ურუგვაელებს კი თავისი პრობლემები აქვთ. მათი კაპიტანი პაოლო მონტერო ტრავმირებულია, ხოლო ნახევარმცველი ფაბიან ონეილი და მცველი დარიო როდრიგესი დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებენ.

**ურთიერთშეხვედრები მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევებში**

| | | | |
|---|---|---|---|
| 06.07.69 | გუაკილი | ეკვადორი — ურუგვაი | 0:2 |
| 20.07.69 | მონტევიდეო | ურუგვაი — ეკვადორი | 1:0 |
| 01.07.73 | კიტო | ეკვადორი — ურუგვაი | 1:2 |
| 08.07.73 | მონტევიდეო | ურუგვაი — ეკვადორი | 4:0 |
| 10.03.85 | მონტევიდეო | ურუგვაი — ეკვადორი | 6:2 |
| 31.03.85 | კიტო | ეკვადორი — ურუგვაი | 0:2 |
| 01.08.93 | მონტევიდეო | ურუგვაი — ეკვადორი | 0:0 |
| 05.09.93 | გუაკილი | ეკვადორი — ურუგვაი | 0:1 |
| 12.02.97 | კიტო | ეკვადორი — ურუგვაი | 4:0 |
| 16.11.97 | მალდონადო | ურუგვაი — ეკვადორი | 5:3 |

## პარაგვაი — ვენესუელა

თუ დღეს ვენესუელამ თუნდაც ფრეს მიაღწია, გუნდი ვენესუელური ფეხბურთის ისტორიაში კარგა მოზრდილ ადგილს დაიკავებს. საქმე ის გახლავთ, რომ რაც ამ ქვეყანაში ფეხბურთის თამაში ისწავლეს (როგორ, სხვა საკითხია), ნაკრებს სტუმრად ერთი ქულაც არ აუღია. ამიტომ პარაგვაელთა გამარჯვება ფაქტობრივად ეჭვს არ იწვევს. რაღა ახლა მოუნდებათ ვენესუელელებს უძველესი ანტირეკორდის დამხობა?

**ურთიერთშეხვედრები მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევებში**

| | | | |
|---|---|---|---|
| 06.08.69 | კარაკასი | ვენესუელა — პარაგვაი | 2:0 |
| 21.08.69 | ასუნსიონი | პარაგვაი — ვენესუელა | 1:0 |
| 12.01.97 | მერიდა | ვენესუელა — პარაგვაი | 0:2 |
| 12.10.97 | ასუნსიონი | პარაგვაი — ვენესუელა | 1:0 |

## პერუ — არგენტინა

გაბრიელ ბატისტუტას დაშავების მერე არგენტინას უჭირს. ნაკრების კაპიტანს უკვე სამი მატჩი გაუცდა და მათგან მისმა თანაგუნდელმა მხოლოდ ერთში იმარჯვეს, ისიც ეკვადორთან. ამ გუნდთან თამაში კი არგენტინელებს მეორე შემადგენლობითაც არ უნდა გაუჭირდეთ. მერე იყო მარცხი ბრაზილიასთან და ფრე პარაგვაისთან.

ახლახან ბატისტუტამ „რომაში“ ამხანაგურ მატჩში ითამაშა. ამან ნაკრების მწვრთნელ მარსელო ბიელსას ვარსკვლავის დაბრუნების იმედი მისცა და შეკრებაზეც გამოიძახა, მაგრამ... როგორც არგენტინელი რეპორტიორი, რომელიც სამშაბათს და ოთხშაბათს ნაკრების ვარჯიშებს დაესწრო, ამბობს, ბატისტუტამ მსუბუქად წაივარჯიშა და ეტყობოდა, რომ ნატკენი მუხლი კვლავაც აწუხებს.

რეპორტიორის ნათქვამს ადასტურებს მწვრთნელიც: „როგორც ჩანს, რომაულმა მატჩმა მას ტრავმა გაუმიზეზა და პერუსთან მისი თამაში გამორიცხულია“.

კვირას არგენტინელებს თავდასხმაში ერნან კრესპო და კლაუდიო ლოპესი ეყოლებათ. ამ უკანასკნელმა ბრაზილიასთან შეხვედრაში მეორე გაფრთხილება მიიღო, რის გამოც წინა ტური გამოტოვა.

ბატისტუტას არყოფნა პერუელებს მძიმე მდგომარეობის გამოსწორების იმედს აძლევს. მსოფლიოს ჩემპიონატზე მათ ბოლოს 1982 წელს გააღწიეს. ახლა ისინი მერვე ადგილზე არიან და ყოველი წაფორხილება სანატრელ მიზანთან უფრო დააშორებს.

**ურთიერთშეხვედრები მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევებში**

| | | | |
|---|---|---|---|
| 07.08.69 | ლიმა | პერუ — არგენტინა | 1:0 |
| 31.08.69 | ბუენოს აირესი | არგენტინა — პერუ | 2:2 |
| 23.06.85 | ლიმა | პერუ — არგენტინა | 1:0 |
| 30.06.85 | ბუენოს აირესი | არგენტინა — პერუ | 2:2 |
| 01.08.93 | ლიმა | პერუ — არგენტინა | 0:1 |
| 22.08.93 | ბუენოს აირესი | არგენტინა — პერუ | 2:1 |
| 07.07.96 | ლიმა | პერუ — არგენტინა | 0:0 |
| 08.06.97 | ბუენოს აირესი | არგენტინა — პერუ | 2:0 |

## ჩილე — კოლუმბია

ჩილელებმა წინა ტურში გმირობა ჩაიდინეს და ბრაზილიას 3:0 მოუგეს. მაშინ მატჩის გმირი მარსელო სალასი გახდა, ვინაც ორი საგოლე პასი გააკეთა და ერთიც თვითონ შეაგდო. თუ დღეს ჩილემ კოლუმბიასაც სძლია, სულ მცირე ერთი საფეხურით მაღლა აინაცვლებს.

დღევანდელი მატჩის წინ მასპინძელთა ბანაკში განხეთქილებაა. ინგლისური „ვესტ ჰემის“ მცველი ხავიერ მარგასი წინა ტურში სათადარიგოთა სკამზე იჯდა, რაც სულაც არ ეპიტნავა. ფეხბურთელს მწვრთნელთან კამათი მოუვიდა და ულტიმატუმი წაუყენა — სასტარტო შემადგენლობაში თუ არ ვიქნები, ნაკრებში არაფერი მესაქმებაო. მწვრთნელმა ასე განსაჯა: მარგასი არ ვათამაშე და ბრაზილიას მოვუგეთ, ესე იგი, მისი წასვლით არაფერს დავკარგავთო და გუნდიდან დაითხოვა.

ცხადია, ჩილელთა ოპტიმიზმი იმას არ ნიშნავს, რომ ისინი უეჭველად მოიგებენ. კოლუმბიელებმა იციან, რომ წაგების შემთხვევაში მეორე ადგილი, შესაძლოა, მეექვსედაც ექცეთ. ესეც რომ არ იყოს, კოლუმბია ხელწამოსაკრავი გუნდი სულაც არ არის.

**ურთიერთშეხვედრები მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევებში**

| | | | |
|---|---|---|---|
| 01.08.65 | სანტიაგო | ჩილე — კოლუმბია | 7:2 |
| 07.08.65 | ბარანკილია | კოლუმბია — ჩილე | 2:0 |
| 01.09.96 | ბარანკილია | კოლუმბია — ჩილე | 4:1 |
| 06.07.97 | სანტიაგო | ჩილე — კოლუმბია | 4:1 |

**სატურნირო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 7 | 5 | 1 | 1 | 16:6 | 16 |
| კოლუმბია | 7 | 3 | 3 | 1 | 7:4 | 12 |
| ურუგვაი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:5 | 11 |
| ბრაზილია | 7 | 3 | 2 | 2 | 9:9 | 11 |
| პარაგვაი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:8 | 11 |
| ჩილე | 7 | 3 | 1 | 3 | 11:9 | 10 |
| ეკვადორი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 10 |
| პერუ | 7 | 2 | 2 | 3 | 5:5 | 8 |
| ბოლივია | 7 | 1 | 2 | 4 | 4:9 | 5 |
| ვენესუელა | 7 | 1 | 0 | 6 | 5:17 | 3 |

IX ჯგუფი

გერმანია — საბერძნეთი

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

ევროპა

II ჯგუფი

ჰოლანდია — ირლანდია

# ოთხი მილიონი მარკა იმას, ვინც...

ვანო ოძროშირიძე

სასტუმრო „ტროიდელბერგის" ფოიეში ბერძენი ფეხბურთელები გამეფებულან. სხედან, ფინჯან ყავას შეექცევიან და იცინიან. მართალია, სასაცილოდ სულაც არა აქვთ საქმე, მათ ქვეჯგუფში ხომ მსოფლიოს ფეხბურთის გრანდებს — გერმანიასა და ინგლისს მოუყრიათ თავი, მაგრამ მაინც იცინიან. „რატომ უნდა ვინერვიულოთ? ჩვენ ხომ დასაკარგი არაფერი გვაქვს, გავალთ და ჩვენებურად ვითამაშებთ" — ამბობს ბერძენთა გამთამაშებელი და მთავარი იმედი ვასილის ცარტასი და იქვე ამატებს — „არავინ დაგვძრახავს, გერმანიასთან რომ წავაგოთ, თუმცა მე მაინც მჯერა, ფრიცებსაც და ინგლისელებსაც გვარიანად გავაწვალებთ და იქნებ..."

„გერმანელებთან სათამაშოდ კარგად მოვემზადეთ" — აცხადებს ვასილის დანიელი, ბერძენთა თავკაცი, რომელიც, სხვათა შორის, სამწვრთნელო საქმეს კიოლნის უმაღლეს სკოლაში დაეუფლა. ბერძნები გერმანელებთან დღევანდელი მატჩის წინ, ჰამბურგში რომ გაიმართება, იმედიანად არიან განწყობილნი. ყოველ შემთხვევაში, მათი ნალაპარაკევიდან ასე ჩანს, თუმცა ათენის „პანათინაიკოსის" გერმანელ ლეგიონერ კარლ-ჰაინც პფლიპსენს თუ ვერწმუნებით, ბერძნებს თავიანთი წარმატების ნაკლებად სჯერათ. განსაკუთრებით გერმანელთა მიერ ორი კვირის წინ ესპანელების 4:1 ძლევამ დააფრთხოთ. სამაგიეროდ იმ გამარჯვებამ რუდი ფიოლერის გუნდს ჩაუნერგა რწმენა.

„ნაკრების უიღბლობა წარსულს ჩაბარდა. ვფიქრობ, ფიოლერის ხელმძღვანელობით ბევრს მივაღწევთ" — ამბობს გერმანელთა მცველი იენს ნოვოტნი. მოგეხსენებათ, ფიოლერი ეროვნული გუნდის სათავეში სულ ახალი მისულია. მისი ხელმძღვანელობით გერმანელებმა ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი გამართეს, თუმცა ესპანეთის ნაკრებთან 4:1 შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ ამ ქვეყნის ფეხბურთის ქომაგნი ეიფორიამ მოიცვა. გერმანიაში ღრმად სჯერათ, რომ ფიოლერი ბუნდესფეხბურთს კრიზისიდან გამოიყვანს. ბერძნებთან მატჩში კი რუდის და მის გუნდს იმასვე სთხოვენ, რასაც ნაკრებმა ესპანელებთან მიაღწია.

„დღეს ჩვენგან ყველა გამარჯვებას ელის. ეს მაშინვე ვიცოდი, როცა ნაკრების მწვრთნელობას დავთანხმდი. ფაქტია, რთულ ჯგუფში მოვხვდით. ინგლისსაც და საბერძნეთსაც ძლიერი ნაკრებები ჰყავთ, თუმცა არც ჩვენ ვართ სხვაზე ნაკლებნი. ამას უახლოესი ორი მატჩიც დაგვანახებს" — იმედიანადაა თავად ფიოლერი. შეგახსენებთ, რომ დღევანდელი მატჩის შემდეგ გერმანელები 7 ოქტომბერს ინგლისის ნაკრებს სტუმრობენ.

ბერძნებს მასპინძლები ფაქტობრივად უძლიერესი შემადგენლობით ხვდებიან. ერთი ეგაა, კარსტენ იანკერს, იენს ნოვოტნისა და მარკო რემერს მცირე ტრავმები აწუხებთ, თუმც მწვრთნელი სამივე მათგანს ძირითადში დაყენებას უპირებს. ფიოლერმა ეს გადაწყვეტილება ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ მიიღო.

ვასილის დანიელმა კი გუნდის სამი წამყვანი ფეხბურთელი მოისაკლისა. „ნიუკასლის" მცველ ნიკოს დაბიზასს, აიაქსელ ნიკოს მახლასსა და აეკელ დემის ნიკოლაიდისს ტრავმები აწუხებთ.

„დიდი დანაკლისი გვაქვს, მაგრამ რას ვიზამთ. შემცვლელებს ვიპოვით. რაც მთავარია, მეტოქის არ გვეშინია" — იხტიბარს არ იტეხს დანიელი.

დღემდე გერმანიისა და საბერძნეთის ეროვნული გუნდები სულ ექვსჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. პირველი სამი მატჩი გერმანელებმა მოიგეს, მესამედ — 1970 წელს ათენში. დანარჩენი სამი შეხვედრა კი ფრედ დასრულდა. ბოლოს ეს ნაკრებები ერთმანეთს 1980 წელს იტალიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე დაუპირისპირდნენ. თამაში 0:0 მორჩა. ასე რომ, დღეს თუ სტუმრებმა იმარჯვეს, ნავსს გატეხენ. ისე, საამისო სტიმული საკმარისზე მეტი აქვთ. ბოლო-ბოლო, საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაცია ვასილის დანიელსა და მის გუნდს გერმანელთა დამარცხების „მალარიჩად" 4 მილიონ მარკას ჰპირდება.

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**გერმანია:** კანი, რემერი, ნოვოტნი, ჰაინრიხი, დაისლერი, რამელოვ, ბალაკი, ბოდე, შოლი, ციკლერი, იანკერი

**საბერძნეთი:** ელევთეროპულოსი, ფუზნიდისი, გუმასი, ამანატიდისი, გეორგატოსი, პურსანიდისი, მავროგენიდისი, ცარტასი, ზაგორაკისი, ლიბეროპულოსი, გეორგიადისი



გერმანელთა თავკაცი რუდი ფიოლერი (მარჯვნივ) დიტმარ ჰამანს საკუთარ გამოცდილებას მოედანზევე უზიარებს



რონალდ დე ბური და ლუის ვან გაალი კელტთა დამარცხების გზებს ეძებენ

# ლუის ვან გაალს აღარ გააკრიტიკებენ

## იმდენ ჰოლანდიელს ათამაშებს, რამდენიც უნდა

ნიკა შუშლაძე

ევროპაში შესარჩევი ეტაპი აგვისტოში დაიწყო, როცა მეორე ჯგუფში ესტონეთმა ანდორას უმასპინძლა და 1:0 დაამარცხა. ეს გახლავთ დღემდე ჩატარებული ერთადერთი შეხვედრა.

შაბათ-კვირას დაგეგმილთა შორის იგივე, მეორე ჯგუფის ერთი მატჩი გამოვყოთ — ჰოლანდია ირლანდიას უმასპინძლებს. ხსენებული ჯგუფი ექვსგუნდიანია. ფავორიტთა შორის ჰოლანდიას, პორტუგალიასა და მეტნაკლებად ირლანდიას მოიხსენიებენ.

დღეს უნდა შედგეს ლუის ვან გაალის დებიუტი ჰოლანდიის ნაკრებში. გეხსომებათ, ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალიდან გამოვარდნის შემდეგ ჰოლანდიის ეროვნული გუნდის თავკაცის პოსტი ფრანკ რაიკარდმა დატოვა, ოდნავ მოგვიანებით კი მის შემცვლელად ვან გაალი დაასახელეს. ეს სპეციალისტი იმჟამად „ბარსელონადან" ახალი წასული იყო და სიამოვნებით დათანხმდა ნაკრების მწვრთნელობას. თანაც ვან გაალს ნაკრებში ნაცნობი ფეხბურთელები დახვდნენ, უმრავლესობას მის გაწვრთნილ კლუბებში — „აიაქსსა" და „ბარსელონაში" უთამაშია. ვან გაალს ბევრი აკრიტიკებდა კიდეც, „ბარსელონას" სასტარტო შემადგენლობაში ესპანელზე გაცილებით მეტი ჰოლანდიელი იწყებს თამაშსო.

ჰოლანდიის ნაკრებმა მატჩისთვის მზადება ჰუნდერლოში ხუთშაბათს დაიწყო, თუმცა პირველივე ვარჯიშის დროს პატრიკ კლუივერტი დაშავდა. ევრო 2000-ის თანაბომბარდირმა ფეხი დაიზიანა. შეძლებს თუ არა კლუივერტი მინდორზე გასვლას, ამის ზუსტ პასუხს ექიმებისგან ელიან, თუმცა ნაკრების ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ კლუივერტი ითამაშებს.

არადა, ტრავმის გამო ჰოლანდიელებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე ისედაც გამოაკლდება: „იუვენტუსის" ნახევარმცველმა ედგარ დავიდსმა ცოტა ხნის წინ წვივის ოპერაცია გაიკეთა და ჯერ რაც მკურნალობს; ნაკრებს ვერც ბარსელონელები — მარკ ოვერმარსი და ბუდევინ ზენდენი დაეხმარებიან; დაშავებულია „მანჩესტერ იუნაიტედის" ცენტრალური მცველი იაპ სტამიც და ალბათ, ვერც ის ითამაშებს.

ვან გაალმა ნაკრებში დააბრუნა აიაქსელი რიხარდ ვიჩხე, რომელიც ეროვნული გუნდიდან სამი წლის წინ წავიდა. მწვრთნელმა გუნდში ახალი ფეხბურთელი, ეინდჰოვენელი ვილფრედ ბუმაც გამოიძახა. ვარაუდობენ, რომ ვან გაალი მას მარცხენა ფლანგზე გაამწესებს და პირველივე წუთებიდან შეუშვებს მინდორზე.

ნაკრებში არიან ტყუპი დე ბურები, რომელთა გზებიც ცოტა ხნის წინ გაიყარა — ფრანკი „ბარსელონაში" დარჩა, ხოლო რონალდი „რეინჯერსში" გადაბარგდა. ირლანდიელთა შეტევისგან კარს იუვენტუსელი ედვინ ვან დერ სარი დაიცავს. ითამაშებენ აგრეთვე ბარსელონელები — მიხაელ რაიციგერი და ფილიპ კოკუ.

ცოტა ხნის წინ სანაკრებო კარიერა დაასრულა დენის ბერხკამპმა, რომელიც თავდასხმაში თითქმის უცვლელად თამაშობდა. ახლა მის არყოფნაში მწვრთნელს ახალი ფორვარდის მოძებნა მოუწევს. თანაც, როგორც მოგახსენეთ, ნაკრებს ამჯერად მარკ ოვერმარსი დააკლდება, დამტვრეულია ეინდჰოვენელი რუუდ ვან ნისტელროიც.

ამიტომ ვარაუდობენ, რომ ვან გაალი თავდასხმაში ტვენტელ იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკს გაამწესებს. არადა, 21 წლის ფორვარდს ჰოლანდიის ნაკრებში ჯერ არ უთამაშია.

ახლა ირლანდიელებზეც ვთქვათ და მათზე საუბარი კაპიტნით დავიწყოთ. „მანჩესტერ იუნაიტედისა" და ნაკრების მეთაურმა როი კინმა ზურგის ტრავმა მიიღო, თუმცა ნაკრებს ჰოლანდიაში მაინც ჩაჰყვა და დიდი იმედი აქვს, რომ ითამაშებს. „როიმ მითხრა, რომ შაბათისთვის მწყობრში იქნება და მე ეს მაიმედებს" — განაცხადა ირლანდიელთა თავკაცმა მიკ მაკარტიმ.

ახლახან გაუწყეთ, რომ ნაკრების ორ წევრს — ფილ ბებისა და მარკ კენედის დუბლინში რაღაც მოუწევიათ და გაბრუებულებს პოლიციელი ველარ უცვნიათ. მერე ორივე დააკავეს. მწვრთნელმა ეს რომ შეიტყო, ორივე ფეხბურთელი ნაკრებიდან გარიცხა.

ტრავმის გამო ორი მცველის — მეტ ჰოლანდისა და კენი კანინგემის თამაშიც საეჭვოა. მაკარტის განცხადებით, დაცვის ცენტრში გარი ბრინი და 20 წლის ევერტონელი რიჩარდ დანი გაირჯებიან. აქამდე ყმაწვილ ევერტონელს ნაკრების მაისურა სამჯერ მოურგია და სამჯერვე ამხანაგურ მატჩში.

დაბოლოს, ამ ორი ნაკრების ბოლო მატჩი გავიხსენოთ, რომელიც 1995 წლის დეკემბერში ლივერპულის „ენფილდ როუდზე" ჩატარდა და ეს ევრო 96-ის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრი პლეი ოფი გახლდათ. მაშინ ჰოლანდიამ იოლად გაიმარჯვა — 2:0. ორივე გოლი პატრიკ კლუივერტმა გაიტანა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, რაიციგერი, რიკსენი, კონტერმანი, ფ. დე ბური, ვან ბრონკჰორსტი, რ. დე ბური, ზენდორფი, კოკუ, ბუმა, კლუივერტი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

**ირლანდია:** ა. კელი, გ. კელი, ბრინი, დანი, სტაუნტონი, მაკატირი, როი კინი, კინსელა, კილბეინი, რობი კინი, ქუინი

**მსაჯი:** ლუბოშ მიხალი (სლოვაკეთი)

### ამ უქმეებზე გასამართი დანარჩენი შესარჩევი მატჩების განრიგი

**2 სექტემბერი**

I ჯგუფი

შვეიცარია — რუსეთი

ფარერები — სლოვენია

ლუქსემბურგი — იუგოსლავია

II ჯგუფი

ანდორა — კვიპროსი

III ჯგუფი

ისლანდია — დანია

ბულგარეთი — ჩეხეთი

ჩრდ. ირლანდია — მალტა

IV ჯგუფი

თურქეთი — მოლდოვა

აზერბაიჯანი — შვედეთი

სლოვაკეთი — მაკედონია

V ჯგუფი

ბელარუსი — უელსი

ნორვეგია — სომხეთი

უკრაინა — პოლონეთი

VI ჯგუფი

ლატვია — შოტლანდია

ბელგია — ხორვატია

VII ჯგუფი

ბოსნია — ესპანეთი

VIII ჯგუფი

რუმინეთი — ლიტვა

IX ჯგუფი

ფინეთი — ალბანეთი

**3 სექტემბერი**

II ჯგუფი

ესტონეთი — პორტუგალია

VII ჯგუფი

ისრაელი — ლიხტენშტაინი

VIII ჯგუფი

უნგრეთი — იტალია

# ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი!

## გიტარა და ჩქარი ტაში კოსტაკურტას ცხოვრებაში



**ალესანდრო კოსტაკურტა „მილანისა“ და იტალიის ნაკრების მცველია, მრავალი ტიტულის მფლობელი ფეხბურთელი, რომელიც მოედანს მიღმაც ერთობ გამორჩეულად ცხოვრობს, კერძოდ...**



მარტინა კოლომბარი. მართლაც მშვენიერი ბელფრენდი გყავთ, ალესანდრო!

**— ალესანდრო, რას ნიშნავს თქვენთვის 1987 წლის 25 ოქტომბერი?**

— იცით, რა მახსოვს? სისუსტე მუხლებში, არეულ-დარეული გრძნობა და შიში, მოედნის კიდეს გასახურებლად რომ მივადექი. 88-ე წუთზე რობერტო დონადონი რომ შევცვალე, ოცნება ამიხდა. ახალგაზრდული გუნდიდან მოსულისთვის ეს ჩემი პირველი მატჩი გახლდათ უმაღლეს დონეზე.

**— ბავშვობისას ვინ გიბიძგათ ფეხბურთის თამაშისკენ?**

— დიდი არჩევანი არც მქონია. ყველა ფეხბურთს თამაშობდა და მე გამონაკლისი ხომ არ ვიქნებოდი.

**— კერპი გყავდათ?**

— ფრანკო ბარეზი.

**— კედლებზე მისი პლაკატები გქონდათ გაკრული?**

— არა, კედლები გოგოების პლაკატებით მქონდა აჭრელებული. ეს უფრო ნორმალურია.

**— და რომელ გუნდს ქომაგობდით?**

— „მილანს“. ჩემი მშობლები ვენეტოდან არიან.

**— არსებობს სტადიონი, რომელიც თქვენთვის საგანგებოდ მნიშვნელოვანია?**

— ერთის დასახელება ძნელია. მათ შორის არის პერუჯას „რენატო კური“, სადაც 1999 წელს სკუდეტო მოვიპოვე.

**— თქვენი კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი თამაში რომელი იყო?**

— 1989 წლის ჩემპიონთა თასის ფინალი ბარსელონაში „სტიაუას“ წინააღმდეგ.

**— რომელ მწვრთნელს ემადლიერებით ყველაზე მეტად?**

— ჩემი ბავშვობის მწვრთნელს, სინიორ ბრაგას. ის პაოლო მალდინისაც ავარჯიშებდა. ჩემს ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში ყველაზე დიდი როლი მან ითამაშა.

**— ფეხბურთელი რომ არ გამოსულიყავით, ვინ იქნებოდით?**

— ბავშვობაში თვითმფრინავის პილოტობაზე ვოცნებობდი.

**— მილანელ გულშემატკივარს ერთი სიტყვით როგორ აღწერდით?**

— მგზნებარენი არიან.

**— საუკეთესო ადგილი, სადაც ოდესმე ყოფილხართ...**

— ავსტრალია. იქ „მილანთან“ ერთად ჩავედი რაღაც სეზონისშემდგომ შეკრებაზე და ორი კვირით დავრჩი კიდეც.

**— იდეალური საღამო აღგვიწერეთ.**

— ერთ ღამეში ყველაფრის მოსწრება: რესტორანში სასიამოვნო სადილი, შემდეგ ბარში გადანაცვლება და ვისკის დალევა, ხოლო ბოლოს ღამის კლუბში დილამდე ცეკვა.

**— წარმოუდგენელია... კოსტაკურტა მთელი ღამე ცეკვავს?**

— ეს ცნობილი ამბავია.

**— მაშ ის გვითხარით, რომელ კლუბში გიყვართ ცეკვა.**

— შეიძლება პასუხში რეკლამა გავურიო?

**— ერთხელ გაძლევთ ამის ნებას.**

— ცეკვა ყველაზე სასიამოვნო იბიცაზე (კუნძულია ესპანეთში. პ.კ.) გახლავთ, პაბში, რომელსაც „კორსო გარიბალდი“ ჰქვია და მე და ჩემმა მეგობრებმა გავხსენით.

**— კეთილი, მაშ საყვარელი კერძიც გვითხარით.**

— რისოტო მილანურად.

**— რითი ერთობით?**

— გოლფს ვთამაშობ.

**— ბედნიერება რაღაა?**

— როდესაც არაფერი გაწუხებს, ბედნიერებაც ის არის. უპრობლემო ცხოვრება ყველა ადამიანის ოცნება გახლავთ.

**— ბოლოს როდის იტირეთ?**

— „მილანის“ გამო არასდროს მიტირია. ოჯახური ტრაგედიები მქონია და მაშინ მივმხვდარვარ, თუ რა არის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ ტირილი... მამაჩემის დაკრძალვაზეც კი ვერ ვიტირე და ფეხბურთის გამო რა მატირებდა.

**— მეგობრებში რა თვისებას ეძებთ?**

— ბევრს, თუმცა მთავარი გულწრფელობა და პუნქტუალობაა.

**— ქალებში?**

— ჩემთვის მთავარია მომხიბლოს, ლამაზი იყოს. კიდევ, ჩემგან განსხვავებული, საპირისპირო ხასიათი უნდა ჰქონდეს, ცოტა გიჟი უნდა იყოს და შოკში უნდა ჩამაგდოს.

**— ეჭვიანი ხართ?**

— დიახ, ხანდახან ძალიან ვეჭვიანობ.

**— დაბოლოს, თქვენთვის ყველაზე სასურველი კომპლიმენტი გვითხარით.**

— ის დაახლოებით ასეთია: რა მშვენიერი მეგობარი გოგონა გყავთ.

**თარგმნა ბაბუნა ბედიამ**

# მესიე დელონ, თქვენ ალენ დელონის დედას შეჰყარდით



მას შეიძლება ბოლოს თავი გილიოტინაზე დაადებინონ და მოაჭრან. ეს თუ არ მოხდა, მაშინ იქნებ პოლიციელი გამოვიდეს და გამოჩენილ ბანდიტებს სულ კუდით ქვა ასროლინოს. გასული საუკუნის ამერიკაში კი, ალბათ, ვერ გადასახლდება, ტყავისდეზებიანი ჩექმები და ფოჩებიანი შარვალი რომ ჩაიცვას, თავზეც თვალებისკენ ჩამოწეული შლაპა დაიხუროს და უდაბნოში მატარებლები ძარცვოს. არა, თუ გაგიჟდა, მერე ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ...

მაგრამ რაებს მივედ-მოვედებით. ჯვარი სწერია 21 წლის ძალიან ნიჭიერ ბიჭს, რომელმაც ჟოაო აველანჟის თასად მონათლულ ბრაზილიის პირველობაზე რვა შეხვედრაში ათი გოლი შეაგდო.

ახლა იკითხავთ, თავად ხომ არ გაგიჟებულხართ, გილიოტინა და კაქტუსი რა შუაშიაო. ამიტომაც გეტყვით, რომ გლახად ვიხუმრეთ. ხუმრობის ხასიათზე კი იმიტომ მოვედით, რომ ფეხბურთელს, რომელზეც ვლაპარაკობთ, ალენ დელონი ჰქვია. დიახ, ალენ დელონ სანტოს დანტასი. ის „ვიტორიაში“ თამაშობს და თურმე ბრწყინვალე მონაცემები აქვს: ზუსტად და ძლიერად არტყამს, პასებს განივრულს აწვდის, ინტუიცია საგოლე მომენტის მოახლოებას კარნახობს და საჯარიმოებსაც უზადოდ ასრულებს.

ჩვენი ალენ დელონი 16 წლისა უკვე „ვიტორიას“ ძირითადში უთამაშებიათ და მასაც, როგორც სამხრეთული ქვეყნების წესი და რიგია, სტადიონის შესასვლელსა და უბანში ჯიბეში ხელჩაწყობილს, ბეჭებში მოხრილს და შავსათვალიანს დაუწყია ზანტად სიარული. შემდეგ აქეთ დასალევად შესულა, იქით გოგოებს გამოდევნებია და ფეხბურთი ლამის დავიწყებია, მაგრამ არ ეწერა. მართალია ჯერ სათადარიგოთა სკამს დააბრუნეს და მერე კინაღამ გუნდიდანაც გააგდეს, მაგრამ ცოტა კეთილისმსურველების და ცოტაც საკუთარი მონდომებით საქმეს მიბრუნებია და ახლა იმასაც ამბობენ, ვინძლო ნაკრებში აიყვანონო.

ბრაზილიის ნაკრებზეა ლაპარაკი.

არადა, ამ 21 წლის წინ, როდესაც პატარა სანტოს დანტასის დედამ წარმატებით მოილოგინა და შვილს სამშობიაროდან გაწერისას მისთვის სახელის დარქმევა დასჭირდა, ნოტარიუსს ალენ დელონი ჩააწერინა. რატომ? იმიტომ, რომ 21 წლის წინ ანუ 1979 წელს ფრანგი მსახიობი ალენ დელონი ერთობ ახალგაზრდა გახლდათ და მსოფლიო ქალთა გულებს დაუნდობლად იპყრობდა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის ალენ დელონ სანტოს დანტასის მამაზე არაფერია ცნობილი, თუმცა, სავარაუდოდ, მეუღლის ასეთ გადაწყვეტილებას ვერ გააპროტესტებდა, რადგან ბრაზილიის ქალაქ სალვადორში ფრანგ კინოვარსკვლავზე ეჭვიანობა ცოტა სისულელეს ჰგავს. აი, ცოლს რომ დაეჩემებინა, ბავშვს სახელი მავანი არჟემიროს ან ზეს საპატივცემულოდ დავარქვათო, სხვა ამბავი იქნებოდა. მაშინ მამა სანტოს დანტასი, ალბათ, მუშტს მაგიდაზე დაჰკრავდა.

ერთი სიტყვით, დღეს ბრაზილიაში ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა. როგორც გითხარით, ის „ვიტორიაში“ თამაშობს, ხოლო თავად „ვიტორია“ ან სამარცხვინოდ მარცხდება, ანაც ბრწყინვალედ იმარჯვებს და როდესაც იმარჯვებს, თანაგუნდელთა შორის ერთი თავით მაღლა მდგომი ალენ დელონი გამოირჩევა.

ცნობისთვის: ალენ დელონი 172 სანტიმეტრია და 72 კილოგრამს იწონის.

ისე კი, ბრაზილიური ფეხბურთის ქომაგებს უცნაური სახელები და მეტსახელები არ უნდა გაუკვირდეთ. ვაგნერიო, მოცარტიო, სიდნეიო, ვაშინგტონიო... ერთი პერდიგაოც კი თამაშობს, პერდიგაო კი იქ ღორის ხორცის მწარმოებელი კომპანიაა.

**მიხეილ სურგულაძე**

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

***— რა ქვია იმ კაცს, მე რომ სახელს ვერ ვიმახსოვრებ?***

— ხოოო... ეგეთი ბევრია.

***— ბევრია კი, მაგრამ, აი, დელ ბოსკეს მეორე.***

— შენ დელ ბოსკესაც ვერ იმახსოვრებდი.

***— ჰო, მაგრამ რედონდომ დამამახსოვრა და მაკმანამანმა.***

— სად არის ახლა მაკმანამანი?

***— და რედონდო სად არის?***

— კალაძე სადაა?

***— მითხარი იმ კაცის სახელი, ნუ მაწვალებ.***

— და შენ გგონია, დელ ბოსკესავით დაიმახსოვრებ?

***— კაცო, შენ მითხარი და გამოჩნდება.***

— „ბარსელონა“ ის აღარ არის, რაც იყო.

***— შენ მითხარი და მე გავარკვევ***

— არ შემჭამა? აჰა, გეტყვი: ლორენს სერა ფერერი.

***— იფ, რა სახელი და გვარიაა!***

— სახელი და გვარი რას უშველის?

***— მე „ბარსელონასი“ მჯერა.***

— მე არ მჯერა ლორენს სერა ფერერის.

***— რატომ?***

— რონალდ დე ბურის გაშვება იქნება?

***— ეეე, ხალხმა რედონდოები გაუშვა და...***

— მერე ვინ გითხრა, რომ მაგ ხალხის მჯერა?

***— დღეს ეგრეა, უნდა გაუშვა და ახალი მოიყვანო.***

— „მანჩესტერმა“ თუ არ გაუშვა?

***— ვინ არ გაუშვა?***

— ხორდი კრუიფი გაუშვა და ბარტეზი მოიყვანა. ეგეთი მესმის.

***— და „რეალის“ არ გესმის? ამოტოლა ფიგუ მოუყვანია...***

— ჩვენ ხო „ბარსელონაზე“ ვლაპარაკობთ? ფიგუ გაუშვა და ვინ მოიყვანა?

***— და გაზა?***

— გაზა რაღა მოსატანია?

***— გაზასი თუ გჯერა?***

— კაცო, მე ფერერისა არ მჯერა, არც დელ ბოსკესი.

***— აბა, ლიპისი გჯერა?***

— ლიპისი მჯერა, ოღონდ „ინტერს“ გარეთ.

***— კიდევ?***

— კიდევ ფათიჰ თერიმის.

***— მირჩა ლუჩესკუსიც გჯერა?***

— რატომაც არა. „ინტერი“ ხომ არ ითვლება?

# აგასის ავადმყოფი დედა ადარდებს, დოკიჩს ლოთი მამა




ელენა დოკიჩი

## US OPEN

**ასა**, წარუმატებლობა ვის გაახარებს, მაგრამ აშშ-ის ღია პირველობის მეორე წრეში წაგება მსოფლიოს პირველ ჩოგან ანდრე აგასის მცირედით თუ დასწყვეტდა გულს. ამერიკელს ამ დღეებში გაცილებით მეტი საფიქრალ-სადარდებელი აქვს: თითქოს მისი უმცროსი და, ტემი, საკმარისი არ იყო, სულ ახლახან დედამისს, ელიზაბეტსაც მკერდის კიბო აღმოაჩნდა.

„ძალიან რთული წელია. ოჯახური უსიამოვნებების გამო ჩოგბურთზე კონცენტრირება მიჭირს, თუმცა ვცდილობ ამ ტრაგედიებში რაღაც დადებითი მაინც დავინახო" — განაცხადა ორშაბათს CBS-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ანდრემ.

ჩვეულებრივ პირობებში კლასიფიკაციით 37-ე ფრანგ არნო კლემანთან აგასის დამარცხება ნამდვილ სენსაციად ჩაითვლებოდა. ენამოსწრებული ჟურნალისტები დაასკვნიდნენ, რომ ამერიკელმა ჩოგბურთზე ისევ აიყარა გული, გელფრენდ შტეფი გრაფთან ურთიერთობა უფრო აინტერესებსო, მაგრამ უკვე ცნობილ გარემოებათა გამო საქმე სულ სხვაგვარადაა.

უკვე ველარავის მოუბრუნდება ენა, ხოტორა ლასვეგასელი მეორე წრის შეხვედრისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში, მეტისმეტად ბევრ დაშვებულ შეცდომაში და ბოლომდე ბრძოლის სურვილის არქონაში დაადანაშაულოს.

თავად ანდრემ მტკიცედ უარყო, რომ პირად ცხოვრებაში უსიამოვნებებს რაიმე კავშირი ჰქონდა მატჩის შედეგთან: „არ შეიძლება, პატივი არ სცე პროფესიონალებს, რომლებიც კორტზე გამოდიან და ყველაფერს იღებენ წარმატების მისაღწევად. მან დღეს უბრალოდ მაჯობა, საოცრად სწრაფად და რისკიანად თამაშობდა".

აგასი და კლემანი აქამდე ორჯერ, ორჯერვე დიდი სლემის ტურნირებზე შეხვედროდნენ ერთმანეთს. შარშან როლან გაროსზე, ტანდაბალ, გიგანტურსათვალეებიან ფრანგს სულ ორი ქულა აკლდა მეტოქის გამწარებამდე, 1999-ის აშშ-ის ღია პირველობაზე კი ამერიკელის უპირატესობა აშკარა იყო. ანდრე ორგანვე ჩემპიონი გახდა.

ამჯერად კორტზე როლები შეიცვალა. აგრესიულად უკვე კლემანი ირჯებოდა და ხშირად ლამაზი დარტყმებით ითვლიდა ქულებს, აგასი კი ან უილაჯოდ იცავდა თავს, ან იოლ ბურთებს აფუჭებდა.

ფრანგი მხოლოდ უკანასკნელ გეიმში განერვიულდა. მატჩ-პოინტზე მოწოდებული ერთი ეისი მას აუტად ჩაუთვალეს, მეორეზე კი მთავარმა მსაჯმა ბურთის ბადესთან გაკარება დააფიქსირა და გამარჯვების ნიშნად ზევით აწეული ხელები უკანვე ჩამოაღებინა. კლემანისთვის იღბლიანი მეხუთე მცდელობა გამოდგა, ამერიკელმა ბურთი ბადეში გაახვია — 3:6, 2:6, 4:6.

„ეს ჩემი კარიერის უმნიშვნელოვანესი გამარჯვებაა, თანაც 15 ათასი მაყურებლის წინაშე, რომელთაგან ყველა მეტოქეს უჭერდა მხარს — აღნიშნა ფრანგმა — ვერაფერს გეტყვით, ის ჩოგბურთზე ფიქრობდა თუ არა, მე ხომ ანდრეს თავში არ ვზივარ. თუმცა შარშანდელივით კარგად ნაღდად არ თამაშობდა, უამრავი შეცდომა დაუშვა".

წლევანდელ როლან გაროსზე მეორე წრეში წაგებამ ანდრე ისე გაამწარა, ჟურნალისტებთან შეხვედრის გარეშე, ჩამუქებულშუშებიანი ლიმუზინით გაიპარა სტადიონიდან. „ოუფენზე" მსგავსი არაფერი მომხდარა. მატჩის შემდეგ ამერიკელმა ავტოგრაფებიც ბლომად დაარიგა, პრესკონფერენციის წინ გრაფთან ისაუბრა, ხუმრობით წაიცეკვა და ოდნავ სინანულით განაცხადა, სასტიკი დღე იყოო.

მოასწავებს თუ არა ყველაფერი ეს აგასის საბოლოო დაღმასვლის დასაწყისს, მხოლოდ გაისად გახდება ცნობილი.

**კაცები. მეორე წრე: ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) — ალექსანდრ პოპი (გერმანია) 6:7 (3:7), 6:4, 6:4, 6:4; თომას ენქვისტი (7, შვედეთი) — კრის ვუდრაფი (აშშ) 6:3, 6:2, 6:2; ლეიტონ ჰიუიტი (9, ავსტრალია) — ჟულიან ბუტე (საფრანგეთი) 7:6 (8:6), 6:4, 6:4; ტიმ ჰენმანი (11, ინგლისი) — ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 6:3, 6:4, 6:2; ჰიუნგ-ტაიკ ლი (კორეა) — ფრანკო სკილარი (13, არგენტინა) 7:6 (7:3) 7:5, 6:2; ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) — ნიკოლას ლაპენტი (16, ეკვადორი) 7:6 (7:3), 6:0, 2:6, 4:6, 7:6 (77:5); რაინერ შუტლერი (გერმანია) — ტომი ჰაასი (გერმანია) 7:6 (7:5), 6:2, 6:4; რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — ანდრე სა (ბრაზილია) 6:4, 6:4, 6:1; მარსელო რიოსი (ჩილე) — იენს კნიპშილდი (გერმანია) 4:6, 6:4, 6:4, 7:5; ჰიშამ არაზი (მაროკო) — უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:3, 6:7 (5:7), 6:3.**

ელენა დოკიჩს ყველაზე დიდი დაბრკოლება კორტზე კი არა, მის მიღმა, ლოთი მამის სახით ეგულება. დამირ დოკიჩი ცდას არ აკლებს, თითოეულ ტურნირზე ბავშვური გამოხტომებით და გარშემომყოფებზე თავდასხმებით საყოველთაო ყურადღება მიიპყროს და წესრიგის დამცველებთან ერთი რიგიანი შეხლა-შემოხლა მაინც მოაწყოს.

ოთხშაბათს ყოფილ ტაქსის მძღოლსა და მოყვარულ მოკრივეს ტურნირის ბოლომდე აუკრძალეს „ფლაშინგ მედოუზზე" გამოჩენა. ელენა ინციდენტის განმავლობაში უკან დაჰყვებოდა მამას და ქვითინებდა, თუმცა მორიგ ოჯახურ თავგადასავალს მეორე წრეში მის თამაშზე არანაირი დაღი არ დაუსვამს.

წლევანდელი უიმბლდონის ნახევარფინალისტმა სულ იოლად აჯობა ჰოლანდიელ ვეტერან მირიამ ორემანსს 6:1, 6:4 და კორტი ტაშისცემაში დატოვა.

„რა თქმა უნდა, მძიმეა, როდესაც გვერდით არავინ მყავს, მაგრამ თამაშით მაინც თავად უნდა ითამაშო. მოხარული ვარ, რომ გუშინდელმა ამბავმა ცუდი ზეგავლენა არ მოახდინა ჩემზე — ნაღვლიანად აღნიშნა პრესკონფერენციაზე ელენამ — კარგი იქნება, თუ მამაჩემს სასჯელს შეუმსუბუქებენ, ის ხომ ჩემი მწვრთნელიცაა და აქ ძალიან მჭირდება. თუ არა, რას ვიზამ, რაც მოხდა, ველარ შეცვლი".

მეთოთხმეტედ განთესილ ბელგიელ დომინიკ ვან რუსტს ლილია ოსტერლოსთან შეხვედრის მეორე ხელის შემდეგ სიცხისა და დახუთული ჰაერისგან გული წაუვიდა და მატჩის დასრულება ველარ მოახერხა. სეტებში ანგარიში საყაიმო იყო.

**ქალები. მეორე წრე: ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — კიმ კლაისტერსი (ბელგია) 4:6, 6:2, 6:2; მარი პირსი (4, საფრანგეთი) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 7:5, 2:6, 6:1; სერენა უილიამსი (5, აშშ) — ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) 6:3, 6:2; კონჩიტა მარტინესი (7, ესპანეთი) — მარია ლორენსო (ესპანეთი) 6:3, 6:2; ანკე ჰუბერი (10, გერმანია) — ტატიანა პანოვა (რუსეთი 6:2, 6:3; ანა კურნიკოვა (12, რუსეთი) — სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:1; ელენა დემენტიევა (რუსეთი) — სილვია პლიშკე (ავსტრია) 6:4, 7:6 (8:6).**

**ავთანდილ სვანიძე**



არნო კლემანი

## სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერენა კაცებს არ უფრთხის

**აშშ-ს** დევისის თასის გუნდის კაპიტანი ჯონ მაკინროი, ეტყობა, უსაქმოდაა — მისი ნაკრები ნახევარფინალში ესპანელებმა გაანადგურეს, ვეტერანთა ტურზე შესვენებაა გამოცხადებული. ჰოდა, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა დრო იხელთა და ქალების ჩოგბურთს გადასწვდა.

„დებ უილიამსებს კოლეჯის ნებისმიერი ხეირიანი კაცი ჩოგბურთელი და ვეტერანი ვარსკვლავი დაამარცხებს" — განუცხადა მაკინროიმ ჟურნალ „ნიუ იორკს" ამ რამდენიმე დღის წინ.

უილიამსების კოლორიტული ოჯახისგან „ოუფენზე" ყველა საპასუხო დარტყმას ელოდა. ვინუსმა უკან დასახევი გზა დაიტოვა: „მეტად გადატვირთული გრაფიკის გამო აპრილამდე თავისუფალი დღეც არა მაქვს (შიში ოხერია). მაგრამ თუ მაინცდამაინც უნდა, შევხვდეთ... კოლეჯის მოთამაშეები არც ისე საზრიანები არიან, დაძაბულ მომენტებში უტვინოდ ითამაშებენ. მოწოდებაში დავიჩაგრები, მაგრამ უკანა ხაზიდან არავის ჩამოვრჩები".

სერენა, დისგან განსხვავებით, პირდაპირ შეტევაზე გადავიდა: „ესე იგი, არ მეშვება, არა? მე მასთან შეხვედრის წინააღმდეგი არ ვარ. ზოგადად კაცები, რა თქმა უნდა, ქალებზე ძლიერები არიან. მაგრამ ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს, თუ ერთი კიდიდან მეორეში ვარბენინებ, ოფლში გავხვითქავ და დავღლი? მართლაც საინტერესოა იმის გაგება, როგორია ძალთა თანაფარდობა".

* * *

**„ფლაშინგ მედოუზზე"** უკვე ტრადიციად იქცა ყოველწლიური პირველობის მოწყობა... არა, ამ შეჯიბრს სპორტის რომელიმე სახეობის სახელსაც ვერ დავარქმევთ, ის უბრალოდ ჩოგბურთისა და ბეისბოლის ნაზავია.

აღჭურვილობა საჩოგბურთოა — ჩოგანი და ბურთი, მიზანი კი ბეისბოლურ-ბურთის რაც შეიძლება შორს, ამ შემთხვევაში კი, არტურ ეშის სახელობის ცენტრალური კორტიდან გადაგდება.

ხუთშაბათს ერთმანეთის პირისპირ აშშ-ის ოლიმპიური გუნდის წევრი, შარისთავობით განთქმული ჯეფ ტარანგო და „ნიუ იორკ მეცის" მოთამაშე ბენი აგბიანი წარსდგნენ. აშშ-ის ღია პირველობის ცენტრალური კორტი იმდენად მაღალია, ხუმრობენ, ბოლო რიგზე გრავიტაციის კანონები აღარ ვრცელდებაო, ასე რომ, ამოცანა არც ისე იოლი იყო.

ხანგრძლივი მზადებისა და საბრძოლო გამომეტყველების მიუხედავად, ტარანგოს ნატყორცნმა ტრიბუნების შუასაც დიდი გაჭირვებით უწია. აი, აგბაიანს კი მოგვიანებით „ჰოუმ-რანამდე" სულ ცოტა დააკლდა — მისი დარტყმული ბურთი ბოლოდან მეხუთე რიგში დაეშვა, რაც ახალი რეკორდია.

შარშან მსგავს შეჯიბრში, „მეცის" ვარსკვლავი რობინ ვენტურა და ჰოლანდიელი პოლ ჰაარჰიუსი მონაწილეობდნენ, თუმც მათი შედეგები ახალ რეკორდთან ახლოსაც ვერ მივა.

„საკუთარი თავისგან ამდენს ნამდვილად არ ველოდი. კუნთებით მაინცდამაინც ვერ დავიკვეხნი, საქმე, ეტყობა, ტექნიკაშია" — განაცხადა აგბაიანმა.

* * *

**ამერიკის** ღია პირველობაზე ანა კურნიკოვა, ჩვეულებრივ, მოდაშია. ათობით, ასობით და ზოგჯერ ათასობითაც ფანი დღენიადაგ გაწამაწიაშია, რათა ტურფა ანას ავტოგრაფი, ფოტო ან თუნდაც ღიმილი დაიმსახუროს. მანჰეტენ ბიჩზე ჩოგბურთელთა თავშესაყრელი ერთი ჯიხურია, კურნიკოვა იქ იქნებაო, ხმა გავრცელდა და ნიუ იორკის დროით 12 საათსა და 15 წუთზე პირველი ანაზე შეყვარებული უკვე ჯიხურთან იყო, თუმცა ჩოგბურთელს მხოლოდ 4 საათის შემდეგ ელოდნენ. მისი გამოჩენისას რიგი უკვე 2500-კაციანი იყო და მათი თუნდაც ნაწილის მომსახურებამ (ავტოგრაფები და ა. შ.) კურნიკოვა ერთობ დაღალა, თუმცა კვლავ ეშხიანად იღიმებოდა.

„ღირდა მისი ლოდინი" — თქვა იმ კაცმა, ვინც რიგში პირველი იყო.

* * *

**ვინუს** და სერენა უილიამსები წყვილებში ერთად თამაშობენ და პირველ წრეში ჰოლანდიელები — კრისტი ბოგერტი და მირიამ ორემანსი გემრიელად დაამარცხეს — 6:1, 6:1. კორტზე დაძაბულობა იოტისოდენაც არ ყოფილა, ერთხელ კი ტრიბუნები ჩოგბურთელების საქციელით გულიანად ახარხარდა. ერთ-ერთ მოწოდებაზე, ერთმა ჰოლანდიელმა ბურთი ხეირიანად ჩაახვია, იგი ზანგთა ნახევარზე დავარდა და ისეთი რიკოშეტით ასხლტა, რომ ისევ ჰოლანდიელთა ნახევრისკენ გაფრინდა. კეთილსინდისიერი ვინუსი ბურთს გაეკიდა, მეტოქის ნახევარზე გადაჰყვა და როცა ეშმაკურად გასწვრივი დარტყმის შესრულება სცადა, ბურთი თავის მხარეს ჩააგდო. მხიარული ემოციებისთვის საბაბი კმაროდა.

# აზოტმა ტურაშვილი კალათბურთისთვის და თავისთვის დაიტოვა



მამუკა ტურაშვილი

**ქვეყნის** ვიცე-ჩემპიონ რუსთავის „აზოტის“ უკანა ხაზი კიდევ უფრო გაძლიერდა. ოთარ ხმელიძის გუნდში ჩაირიცხა მამუკა ტურაშვილი, რომელიც წლების მანძილზე „ვითაში“ თამაშობდა და ამ გუნდის შემადგენლობაში არაერთხელ საქართველოს ჩემპიონის ტიტულიც მოუგია. ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში „აზოტი“ ტურაშვილისთვის მესამე ქართული კლუბია. თავდაპირველად იგი თელავის „ბურჯში“ გამოდიოდა, შემდეგ ერთხანს საბერძნეთში განაგრძო კარიერა, მას მერე კი სულ „ვითაში“ იყო და კლუბის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედაც ითვლებოდა.

ტურაშვილი ამპლუით გამთამაშებელია და მსროლელის ფუნქციებსაც ჩინებულად ასრულებს. იგი სამქულიანების ოსტატადაც ითვლება, 1997 წელს კვიპროსში გამართულ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის ბოლო შეხვედრის უკანასკნელ წამებზე ტურას მიერ ჩაგდებულმა სამქულიანმა საქართველოს ნაკრებს შესარჩევი ეტაპისკენ გაუკვალა გზა. უდავოა, მისი „აზოტში“ გადასვლით გუნდის ისედაც სოლიდური უკანა ხაზი კიდევ უფრო მძლავრი გახდება.

მამუკა მრავალნაცადი მოთამაშეა, ამ ზაფხულს კალათბურთისთვის თავის დანებებასაც ფიქრობდა, თუმც, ჩანს, „აზოტის“ წინადადებამ ხელი აალებინა განზრახვაზე. იგი პირველად ურეკში შეუერთდა რუსთაულ გუნდს და მასთან ერთად ზღვისპირეთში ორკვირიანი შეკრებაც გაიარა.

**გიორგი გიძაძშილი**



გაოგნებულ კანადელებს თავისი ქვეყნის ჰიმნის ნაცვლად ბეთჰოვენის მუსიკა მოასმენინეს



ამერიკელი ჯეისონ კიდი სტივ ნეშს (№7) აუხტა

# მომავალ ჩემპიონთა პირველი გართობა

**ამერიკის შეერთებული შტატების** ნაკრებმა, სიდნეის ოლიმპიადისთვის მზადების პროგრამით პირველი საკონტროლო მატჩი გამართა. მისი მეტოქე კანადა იყო, რომელიც ასევე ადგას ოლიმპიადის გზას. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდი ჰავაის კუნძულ მაუიზე ემზადება. ამერიკელები და კანადელები ერთად ჩავიდნენ კუნძულების დედაქალაქ ჰონოლულუში და ჰავაის უნივერსიტეტის დარბაზში, 7335 მაყურებლის თვალწინ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მოულოდნელი არაფერი მომხდარა — ამერიკამ 99:70 მოიგო.

მატჩის წინ კურიოზი მოხდა. დარბაზის მავანმა მოხელემ კანადის ჰიმნის ნაცვლად ბეთჰოვენის „თავისუფლების ოდა“ ჩართო და იქამდე ასმენინა დამსწრე საზოგადოებას, სანამ კანადის კალათბურთის ფედერაციის მოხელეებმა პროტესტი არ გამოთქვეს და მელოდია არ შეაწყვეტინეს. ამის მერე ამერიკის ჰიმნი დაუკრეს, კანადისა კი აღარ შეასრულეს. ამერიკის ნაკრების ფრთამ ვინს კარტერმა თქვა, კანადის ჰიმნი კი ვიცი, მაგრამ სხვა მელოდია რომ მოვისმინე, ვიფიქრე, შეუცვლიათ-თქო.

კანადა რამდენიმე წუთს გაუძალიანდა ამერიკას და ერთხანს 6:3 დაწინაურდა. მერე ალან ჰიუსტონმა (18 ქულა) სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა, ხოლო მოგვიანებით ამერიკამ ერთი მონაკვეთი 16:0 მოიგო და 27:10 გაიჭრა წინ. შესანიშნავად ითამაშა ვინს კარტერმა (29 ქულა), რომელმაც ფრენით გული იჯერა. ამერიკელთა სამთაგან ერთ-ერთმა კაპიტანმა ალონზო მურნინგმა (13 ქულა) ერთი-ორჯერ ჩატენა.

ამის შემდეგ კარტერისა და კანადელი ბარეტის პაექრობა დაიწყო. კარტერმა ჯერ სტივ სმიტის მაღალი პასი ჩატენა, შემდეგ კი სამქულიანი ჩააგდო და ბარეტს ნიშნი მოუგო. კანადელმა სამქულიანით უპასუხა და ამერიკელს ანიშნა, ნახე, რა მაგარი ვარო. მოგვიანებით ბარეტმა კარტერს ჩასატენად გამზადებული ბურთი ააცალა ხელებიდან, რამაც ამერიკელის ალტაცება გამოიწვია. ნამატჩევს კარტერმა აღნიშნა: „ბარეტი ჩემს გუნდში, „ტორონტო რეპტორზში“ ვარჯიშობდა და იქიდან ვიცნობ. ჩვენ გართობა გადავწყვიტეთ და, ვფიქრობ, გამოგვივიდა. მაყურებელმაც ისიამოვნა“.

გართობა გართობად, მაგრამ მეორე ტაიმში ამერიკამ კიდევ უფრო მოუმატა და კევინ გარნეტის (10 ქულა) ჩატენვის შემდეგ ანგარიში 62:39 გახდა. კანადამ სხვაობა 15 ქულამდე შეამცირა, მაგრამ ამერიკამ მყისვე მოიგო ერთი მონაკვეთი 10:0 და მეტოქეს აგრძნობინა, ნამეტანი ნუ გამითამამდებიო.

## ევროპული ამბები

### იტალია

# ბრაუნს ბენეტონი შემოსავს

**იტალიის** ვიცე-ჩემპიონი ტრევიზოს „ბენეტონი“ უკანახაზელს ეძებდა. კლუბის გენერალურ მენეჯერ მაურიციო ჯერარდინის და მთავარ მწვრთნელ პიერლუიჯი ბუჩის ამ ადგილზე უცხოელი, კერძოდ კი ამერიკელი მოთამაშის უყვანა სურდათ. „ბენეტონი“ ჯერ ჰენრი ვილიამსის დაბრუნებას შეეცადა, მაგრამ რომის „აეროპორტისგან“ ვერ გამოისყიდა კალათბურთელის ორწლიანი კონტრაქტი. ამასობაში კი საფრანგეთში დიდი ამბავი მოხდა: ქვეყნის ჩემპიონს, საფრანგეთის და კორაჩის თასების მფლობელ „ლიმოჟს“ ფინანსური დარღვევები აღმოუჩინეს და მეორე ლიგაში დააქვეითეს. ამის გამო „ლიმოჟის“ კალათბურთელები სხვებისთვის იოლად ხელმისაწვდომნი გახდნენ.

ამერიკელი უკანახაზელი მარკუს ბრაუნი „ლიმოჟის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო და გუნდის ზემოაღნიშნულ წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღოდა. „ბენეტონმა“ მიზანში ამოიღო 26 წლის კალათბურთელი და იქამდე არ მოეშვა, სანამ თავისთან არ გადაიყვანა. ჯერარდინი ამერიკაში გაემგზავრა, სადაც ბრაუნი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის საზაფხულო ლიგებში თამაშობდა და იქვე დაითანხმა კონტრაქტზე, რომლის პირობებიც არ გახმაურებულა.

ბრაუნი ხუთშაბათს ჩავიდა ტრევიზოში და „ბენეტონის“ მიერ საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე გამოცხადდა. მან თქვა: „იტალიის ჩემპიონატს ტელევიზიით ვადევნებდი თვალს. ჩემი აზრით, იგი ევროპაში საუკეთესოა. მიხარია, „ბენეტონში“ რომ ვარ. ეს უმაღლესი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდია და ყველაფრის მოგება შეუძლია. მზად ვარ, „ბენეტონისთვის“ შესაძლებლობის ასი პროცენტი გავიღო“.

პიერლუიჯი ბუჩიმ ბრაუნის საქებრად სიტყვები არ დაიშურა: „მარკუსი კარგი მოთამაშეა, თან, ბუნებით ლიდერია. იგი შესანიშნავად ესვრის და, საჭიროების შემთხვევაში, გამთამაშებლობაც შეუძლია. ევროპულ კალათბურთშიც გათვითცნობიერებულია. მისი მოსვლით ჩემი გუნდი საკმაოდ გაძლიერდა და ყველას დამარცხება შეუძლია. ვფიქრობ, ბრაუნის შეძენა სწორი არჩევანი იყო“.



მარკუს ბრაუნი (ბურთით)

მარკუს ბრაუნი 1996 წელს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსში“ თამაშობდა. მერე ევროპაში, საფრანგეთში წავიდა და „პო ორტეზთან“ ერთად ქვეყნის ჩემპიონი გახდა. შემდეგ ამერიკაში დაბრუნდა და „დეტროიტ პისტონზში“ ითამაშა. წინა სეზონი „ლიმოჟში“ გაატარა და ერთბაშად სამი ტიტული მოიპოვა. მისი საშუალო შედეგიანობა 20,1 ქულა და 2,5 პასი იყო. „ბენეტონის“ გარდა მისი აყვანა სურდათ „დეტროიტ პისტონზს“, „დალას მავერიქსს“, მადრიდის „რეალს“ და თელ ავივის „მაკაბის“.

### საბერძნეთი

# აეკი ცაკალიდისს ემუქრება, ფინიქსი — აეკს

**ათენის** აეკ-ის ბერძენი ცენტრი, 22 წლის იაკოვოს ცაკალიდისი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წლევანდელ დრაფტში „ფინიქს სანზმა“ აირჩია. მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტის მიხედვით აეკ-ის საკუთრება იყო, ცაკალიდისმა თვითნებურად მიატოვა გუნდი და ამერიკაში გაემგზავრა. ერთხანს „ფინიქსში“ ვარჯიშობდა და კლუბის ხელმძღვანელებისთვის თავის მოწონებას ცდილობდა. მერე კი გაქრა და მის ასავალ-დასავალს ვერავინ მიაგნო. ზოგი ამბობს, კალათბურთელი ამერიკაშია და „სანზთან“ კონტრაქტის პირობებს ათანხმებსო, ზოგნი კი ამტკიცებენ — ათენშია, უბრალოდ აეკ-ში მიბრუნება აღარ სურსო.

„ფინიქსი“ არ ჩქარობს ცაკალიდისთან კონტრაქტის გაფორმებას. აეკი კი ბრაზობს და ამბობს, სანამ სადმე წავა, ჯერ ჩვენ ჩაგვაყენოს საქმის ყურში, რადგან ჩვენი მოთამაშეაო. მოთმინებიდან გამოსულმა აეკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა იანის გრანიცასმა ცაკალიდისს ულტიმატუმი წაუყენა: „თუკი იგი 48 საათის განმავლობაში არ გამოცხადდება კლუბში, ჩვენ მას გავაგდებთ და დიდი ჯარიმის გადახდას დავაკისრებთ. ცაკალიდისი აეკ-ის კალათბურთელია და გუნდთან ერთად შეკრებაზე უნდა წავიდეს. თუკი „ფინიქსს“ მისი წაყვანა სურს, დაგვიკავშირდეს, მოგველაპარაკოს, საკომპენსაციო თანხა გადაგვიხადოს და მერე რაც უნდა, ის გააკეთოს“.

ამის საპასუხოდ ხმა ამოიღო ცაკალიდისის ამერიკელმა აგენტმა ბილ ჰოლაკმა: „იაკოვოსი „ფინიქსის“ ხელმძღვანელებს ჯერ არ დალაპარაკებია. ამ შეხვედრის შემდეგ ბევრი რამე გახდება ცხადი. აეკ-ს კი მუქარისგან თავის შეკავებას ვურჩევ. ჩვენ და „ფინიქსს“ შეგვიძლია ათენურ კლუბს ლონდონის სასამართლოში ვუჩივლოთ და ცაკალიდისთან კონტრაქტი ბათილად გამოვაცხადებინოთ“.

სოხუმში დაბადებულ-გაზრდილი იაკოვოს ცაკალიდისის გამოჭერა ვერავინ მოახერხა. ამდენად, აღნიშნულ საკითხზე მისი კომენტარი უცნობია.


## ყურადღება!

**2000 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან იხსნება კურსები რუსული ენის შესწავლისთვის.**
**სწავლება ითვალისწინებს რამდენიმე პროგრამას:**
- დამწყებთათვის;
- დაჩქარებული სწავლებისთვის;
- მართლწერის დახვეწისა და სრულყოფისთვის;
- უცხოელთათვის, რომლებსაც სურთ რუსული ენის შესწავლა.

ცნობებისათვის, 1-დან 30 სექტემბრამდე,
მიმართეთ მისამართზე:
მ. კოსტავას ქ. 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, VI კორპუსი, VI სართული, რუსული ენის, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის კათედრა. ტ: 36-63-58

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროპული ამბები

### ესპანეთი

# ბარსელონამ კარნიშოვასს შეუთანხმა

**ლიტველი** ფორვარდი არტურას კარნიშოვასი ესპანეთის „ბარსელონაში“ ბრუნდება, სადაც 1995-1997 წლებში თამაშობდა. კატალონიური კლუბის ინფორმაციით, კარნიშოვასის ახლანდელ გუნდთან, ბოლონიის „ფორტიტუდოსთან“ ყველანაირი ფინანსური საკითხი მოგვარებულია. მეტიც, „ბარსელონა“ და კარნიშოვასი უკვე შეთანხმდნენ კონტრაქტის პირობებზე და საქმის გასრულებისთვის მხოლოდ ოფიციალური ხელმოწერაღაა საჭირო.

კარნიშოვასმა ივნისში მუხლის ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ აღდგენითი პროცესი გაუჭინაურდა. ამის გამო ლიტველი ალბათ გამოტოვებს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებს. კარნიშოვასი ამერიკაში მკურნალობს. „ბარსელონას“ წარმომადგენლებმა ჩააკითხეს და მისი ფეხის ამბავი საფუძვლიანად გამოიკვლიეს. ესპანელები დარწმუნდნენ, რომ ლიტველს სერიოზული არაფერი სჭირს და კონტრაქტის პირობებზეც ჩამოუგდეს სიტყვა.

კარნიშოვასი, წესითა და რიგით, დღეს უნდა ჩავიდეს ბარსელონაში. იგი ზოგადად სამედიცინო შემოწმებას გაივლის და მერე გააფორმებს კონტრაქტს. თუკი „ბარსა“ აიყვანს, ლიტველი გუნდის მესამე შენაძენი იქნება სეზონთაშორის პერიოდში. მანამდე კატალონიური კლუბის წევრები გახდნენ კარნიშოვასის თვისტომი, უკანახაზელი შარუნას იასიკევიჩუსი და ლიბანელი ცენტრი რონი საიკლი.

კარნიშოვასის „ბარსელონაში“ მისვლა იუგოსლაველ ფორვარდ მილან გუროვიჩს ოფიციალურად გაუხსნის სალონიკის „არისისკენ“ მიმავალ გზას. კონტრაქტით გუროვიჩი „ბარსელონას“ ეკუთვნის, მაგრამ მხარეებმა გაყრა გადაწყვიტეს. იუგოსლაველის შეძენა „არისმა“ მოინდომა და „ბარსას“ უკვე გაურიგდა. სალონიკელები გუროვიჩსაც შეუთანხმდნენ ხელშეკრულების პირობებზე. „ბარსელონა“ იუგოსლაველის გაშვებისგან იქამდე იკავებდა თავს, სანამ მისი ამპლუის ძლიერ მოთამაშეს არ გამონახავდა. კარნიშოვასი კი გუროვიჩის პოზიციაზე თამაშობს და თუ „ბარსაში“ მივა, იუგოსლაველსაც ეშველება.



არტურას კარნიშოვასი

# ისევ ჰარდევეი...

## მისი შენარჩუნება მაიამის უმთავრეს მიზნად იქცა

**ახლა,** როდესაც „მაიამი ჰითმა“ მნიშვნელოვანი გაცვლა მოაკვარხჭინა და ექსპორტლენდელი ბრაიან გრანტი თავისთან დაიგულა, კლუბის ხელმძღვანელთა მთელი ყურადღება ტიმ ჰარდევეისკენაა მიპყრობილი. სწორედ საკუთარი თავისუფალი აგენტის, ჰარდევეის შენარჩუნებაა ახლა ფლორიდელთა მთავარი ამოცანა. ძველ გუნდში დარჩენა სურს თავად კალათბურთელსაც და ერთი შეხედვით მხარეთა შორის შეთანხმებას წინ თითქოს არაფერი უნდა დაუდგეს, მაგრამ...

რამდენიმე დღის წინ, როდესაც „მაიამის“ მთავარ საზრუნავს ბრაიან გრანტის გადაბირება წარმოადგენდა, ჰარდევეიმ განაცხადა, კლუბის ხელმძღვანელთა მხრიდან საკადრის პატივისცემას ვერა ვგრძნობ, ისინი აშკარად იმაზე ნაკლებს (ფულს) მთავაზობენ, ვიდრე ვიმსახურებ და ვიდრე შეუძლიათ რომ გადამიხადონ. ამიტომაც, თუ ჩემს მიმართ დამოკიდებულება არ შეიცვალა, შეიძლება სხვა გუნდი მოვნახოო. მაშინვე გამოჩნდა ჰარდევეის მსურველიც, მისით სერიოზულად დაინტერესდა გასული სეზონის ვიცე-ჩემპიონი „ინდიანა პეისერზი“ და ჰარდევეიმ ძველ გუნდში დარჩენა-არდარჩენის შანსები ორმოცდაათი-ორმოცდაათზე შეაფასა.

ახლა „მაიამი ჰითს“ გუნდის ერთ-ერთ ლიდერისკენ გული მოუბრუნდა და ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ იგი შეინარჩუნოს. „ახლა ჩვენი მიზანია, ტიმთან შეთანხმებას მივაღწიოთ — ამბობს გუნდის მთავარი მწვრთნელი პატ რაილი — მე არ მინდა, კომენტარი გავუკეთო მის ნათქვამს. ეს მხოლოდ ცეცხლს გააღვივებს. იმედი მაქვს, მან გაიგო, რომ ჩვენ ვართ პროფესიული ორგანიზაცია და საკუთარი პოლიტიკა გვაქვს.“

არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც „მაიამი“ თავს იკავებდა, ჰარდევეისთვის სარფიანი კონტრაქტი შეეთავაზებინა. ჰარდევეი ხშირად ტრავმიანობდა. წინა სეზონშიც მან ფეხის ტრავმის გამო 30 შეხვედრა გამოტოვა და რომლებშიც ითამაშა, არც იქ გამოუჩენია ძველებურად თავი. ამასთანავე ჰარდევეის ასაკიც შეჰპარვია, გუშინ იგი 34 წლისა შესრულდა, თუმც: „ოლიმპიური გუნდის ვარჯიშის ნახვის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ტიმი სრულიად ჯანმრთელია და თავს მშვენივრად გრძნობს“ — ამბობს პატ რაილი. მისი აზრი კი ბევრს ნიშნავს „მაიამიში“. ასე რომ, გუნდი მზდაა, ერთ-ერთ ლიდერს მაქსიმუმი შესთავაზოს, რისი გაღებაც შეუძლია. ჰარდევეის ძველ გუნდში დარჩენის შანსები გვარიანად გაიზარდა.

რაც შეეხება კონტრაქტს, კალათბურთელი და კლუბი სავარაუდოდ გააფორმებენ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ჰარდევეი ოთხი წლით გუნდის საკუთრება იქნება, გასამრჯელოდ კი 28 მილიონს მიიღებს. თუმც ჯერ ყველაფერი მაინც არაა გადაწყვეტილი.

ამგვარად საქმე იქით მიდის, რომ „მაიამი“ მოახერხებს ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გამთამაშებლის შენარჩუნებას. თუ ეს მოხდა, ფლორიდელებს შეუძლიათ, თავიანთ თავს მიულოცონ, რადგან მათ ეყოლებათ თანაბრად დაკომპლექტებული, ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო სასტარტო ხუთეული. თუ ხუთეულში ტიმ ჰარდევეისაც მოვიაზრებთ, მაშინ იგი ასეთ სახეს მიიღებს: ტიმ ჰარდევეი, ედი ჯონსი, ენტონი მეისონი, ბრაიან გრანტი და ალონზო მურნინგი. ბოლო წლებში მუდამ ხელმოცარული „მაიამი“ ამ ხალხით უფრო თამამად შეუტევს უმაღლეს მწვერვალს. „ამ ზაფხულში ჩვენს გუნდში ბევრი რამ შეიცვალა. მოვიდნენ ახალი ბიჭები და ახალი იმედი და შემართება მოიტანეს. ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა. „მაიამი“ მშიერია, მას ხომ ჯერაც არაფერი მოუგია, თუ არ ჩავთვლით რეგულარული სეზონის თამაშებს“ — ამბობს რაილი.

ამჟამად ტიმ ჰარდევეი ჰავაის კუნძულებზეა, ოღონდ იმის ნაცვლად, რომ იქაური ზღაპრული ბუნების ცქერით დატკბეს, ანაც პლაჟზე ინებივროს, ქანცის გაწყვეტამდე ვარჯიშობს და „დრიმ თიმთან“ ერთად კარსმომდგარი სიდნეის ოლიმპიადისთვის ემზადება.

**ირაკლი ფირუზაშვილი**

# ონილი ინდიანელია!

## შაკილის მოგვარეს ხურდაც გააყოლეს

**ორი** დღის წინ გასული ჩემპიონატის ფინალისტმა „ინდიანა პეისერზმა“ ონილი დაითრია. მხოლოდ სენსაციის მოყვარულებს ვერაფრით გავახარებთ, რადგან ვიცე-ჩემპიონთა ახალწვეული გახლავთ არა ლიგის უძლიერესი მოთამაშე შაკილ ონილი, არამედ მხოლოდ მისი მოგვარე, სახელად ჯერმენი. ხუთშაბათს „ინდიანასა“ და „პორტლენდს“ შორის გაცვლა შედგა. „პეისერზმა“ ჯერმენ ონილი და ჯო კლაინი მიიღო და მათ სანაცვლოდ „პორტლენდში“ დეილ დევისი გაუშვა.

ჯერმენ ონილი 21 წლის კია, მაგრამ უკვე მოასწრო და ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ოთხი სეზონი ითამაშა. მიუხედავად დიდი ნიჭიერებისა, იგი „პორტლენდში“ ყოველთვის სხვათა ჩრდილში იმყოფებოდა. იქ არცთუ დიდი სათამაშო პრაქტიკა ჰქონდა. ამ ოთხი სეზონის ჯამში იგი მატჩში საშუალოდ 11,5 წუთს თამაშობდა. იგი ვერც მაჩვენებლებით დაიკვეხნის, მატჩში საშუალოდ 3,9 ქულა და 3,1 მოხსნა ნამდვილად არ უნდა აკმაყოფილებდეს ამ ამბიციურ ყმაწვილს. ახლა მას ალბათ მეტხანს მოუწევს მოედანზე ყოფნა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერმენ ონილი არცთუ კმაყოფილია გუნდის გამოცვლით, რადგან თვლის, რომ ძველ გუნდში უფრო მეტი შანსი ჰქონდა, საჩემპიონო მანტიით შემოსულიყო.

211-სანტიმეტრიანი ონილი ამპლუით თავდამსხმელია, თუმც ცენტრობაც ეხერხება. ასევე წინა ხაზის მოთამაშეა „ინდიანას“ მეორე ახალწვეული ჯო კლაინი, მხოლოდ, ონილისგან განსხვავებით, მას ნამდვილად არ ეთქმის პერსპექტიული, რადგან 38 წლისაა და თავისი ხანგრძლივი, მაგრამ უღიმღამო კარიერის დაისზე მას მხოლოდ ხურდის მოვალეობის შესრულება თუ შეუძლია.

რაც შეეხება „პორტლენდს“, საერთო აზრი ასეთია, რომ მან ამ გაცვლით ბევრი მოიგო. მართალია, დეილ დევისი 31 წლისაა, მაგრამ იგი ჯერ ბევრ ახალგაზრდას აჯობებს. ბოლო წლებია, დევისი „ინდიანას“ სასტარტო ხუთეულის შეუცვლელი წევრია და იგი მნიშვნელოვნად დაეხმარა თავის გუნდს, წლევანდელი პლეი ოფის ფინალში გასულიყო. „ინდიანა“ ალბათ მწვავედ იგრძნობს ამ დანაკლისს.

„დეილ დევისის გაშვება ერთობ ძნელი გადასაწყვეტი იყო, მას ხომ ამდენი რამ გაუკეთებია კლუბისთვის — თქვა „პეისერზის“ პრეზიდენტმა დონი უოლშმა — მაგრამ ეს გაცვლა მხოლოდ აუცილებლობით იყო გამოწვეული. ჩვენ გვჭირდება ახალგაზრდა, ნიჭიერი წინახაზელი, რომელიც მომავალში გუნდში ერთ-ერთ წამყვან ადგილს დაიჭერს. სწორედ ასეთად მიგვაჩნია ჯერმენ ონილი“.

და მაინც, დეილ დევისი უფრო მეტი ღირს, ვიდრე ონილი და კლაინი. ალბათ ამით თუ აიხსნება „პორტლენდის“ სურვილი, მონაწილეობა მიეღო ამ გაცვლაში. „ბლეიზერსს“ ამ გარიგების შემდეგ შეუდარებლად გაუძლიერდა თავდასხმის ხაზი. მარტო ნომინალური თავდამსხმელი „პორტლენდს“ სამი ჰყავს — ძველი რაშიდ ვოლესი და ერთი დღის ინტერვალით აყვანილები შონ კემპი და დეილ დევისი. სამივე ერთმანეთზე უკეთესია და კონკურენციაც არნახული იქნება მათ შორის. შესაძლოა, 211-სანტიმეტრიანი და 115-კილოგრამიანი დევისი ცენტრადაც განამწესონ, სადაც ონილის წასვლის შემდეგ ეულად დარჩა 35 წლის ლიტველი ცენტრი არვიდას საბონისი. ალბათ, ასეც იქნება, რადგან საბონისს ნამდვილად სჭირდება ღირსეული შემცვლელი. ეს ამ პლეი ოფმაც დაადასტურა, რომლის ქანცგამწყვეტმა თამაშებმა მოხუცი ლიტველი ისე დაღალა და დაასნეულა, რომ იგი იძულებული გახდა, უარი ეთქვა მშობლიური ქვეყნის ნაკრებს სიდნეის ოლიმპიადაზე წაჰყოლოდა.

**ივანე ძოწიაშვილი**



დეილ დევისი



ტიმ ჰარდევეი (ბურთით)

## თავისუფალ აგენტთა ბაზარი

31 აგვისტო

**ფინიქს სანზი:** დაითხოვა უკანახაზელი რენდი ლივინგსტონი.

# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანია. II ბუნდესლიგა

4 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | მიონხენგლადბახი-ულმი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

ინგლისი. I დივიზიონი. მე-5 ტური

2 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 003 | ჯილინგემი-ვულვერჰემპტონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 004 | პრესტონი-პორტსმუთი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| | 3 სექტემბერი | | | |
| 005 | ვესტ ბრომვიჩი-კრ..პალასი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

ინგლისი. II დივიზიონი. მე-5 ტური

2 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 006 | ბრენტფორდი-უიკომბი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 007 | კოლჩესტერი-ბორნმუთი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 008 | ოლდემი-ნოტსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 009 | ოქსფორდი-კემბრიჯი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 010 | პიტერბრო-ბერი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 011 | პორტ ვეილი-რედინგი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 012 | როტერჰემი-ლუტონი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 013 | უოლსოლი-უიგანი | 2,1 | 3,1 | 3,2 |

ინგლისი. III დივიზიონი. მე-5 ტური

2 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 014 | ბრაიტონი-ტორკი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 015 | ჩესტერფილდი-ბარნეტი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 016 | დარლინგტონი-იორკი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 017 | ექსეტერი-მენსფილდი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 018 | ჰალიფაქსი-ლეიტონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 019 | ჰარტლპული-შრიუსბერი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 020 | ჰალი-ჩელტენემი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 021 | კიდერმინსტერი-კარლაისლი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 022 | ლინკოლნი-საუთენდი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 023 | პლიმუთი-მაკლსფილდი | 1,75 | 3,2 | 3,8 |
| 024 | როჩდეილი-კარდიფი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 025 | სკანთორპი-ბლეკპული | 1,8 | 3,3 | 3,6 |

იტალია. სერია "ბ". 1-ლი ტური

3 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 038 | კალიარი-კროტონე 18.00 | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 039 | კალიარი-კროტონე 0:1 | 2,0 | 2,9 | 2,6 |
| 040 | კიევო-ჯენოა 18.00 | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 041 | ჩიტადელა-პიაჩენცა 18.00 | 3,2 | 2,7 | 2,3 |
| 042 | კოზენცა-პესკარა 18.00 | 2,0 | 2,5 | 4,4 |
| 043 | ემპოლი-პისტოიეზე 18.00 | 1,7 | 2,7 | 6,0 |
| 044 | მონცა-ვენეცია 18.00 | 2,9 | 2,6 | 2,5 |
| 045 | რავენა-სალერნიტანა 18.00 | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 046 | სამპდორია-ტერნანა 18.00 | 1,5 | 3,1 | 8,0 |
| 047 | სიენა-ტრევიზო 18.00 | 2,6 | 2,6 | 2,7 |

იტალია. სერია "ც1/ა". 1-ლი ტური

3 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 048 | ალბინოლეფე-ალძანო 18.00 | 2,9 | 2,6 | 2,5 |
| 049 | ალესანდრია-ლივორნო 18.00 | 2,7 | 2,5 | 2,7 |
| 050 | ბრეშელო-ლუკეზე 18.00 | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 051 | კარარეზე-კომო 18.00 | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 052 | ლეკო-რეჯანა 18.00 | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 053 | ლუმეცანე-სპეცია 18.00 | 1,75 | 2,6 | 5,6 |
| 054 | მოდენა-სპალ 18.00 | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 055 | პიზა-არეცო 18.00 | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 056 | ვარეზე-ჩეზენა 18.00 | 2,3 | 2,5 | 3,4 |

იტალია. სერია "ც1/ბ". 1-ლი ტური

2 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 057 | ლოდიჯანი-ტორესი 18.00 | 1,6 | 2,9 | 7,0 |
| | 3 სექტემბერი | | | |
| 058 | ატლეტიკო-ფ.ანდრია 18.00 | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 059 | დი სანგრო-პალერმო 18.00 | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 060 | ფერმანა-აველინო 18.00 | 1,6 | 2,9 | 7,0 |
| 061 | ჯულიანოვა-სავოია 18.00 | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 062 | აკილა-ბენევენტო 18.00 | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 063 | ნოჩერინა-ასკოლი 18.00 | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 064 | პეზარო-კატანია 18.00 | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 065 | ვიტერბეზე-მესინა 18.00 | 1,7 | 2,7 | 6,0 |

ესპანეთი. II დივიზიონი. 1-ლი ტური

2 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 066 | ხეტაფე-კორდობა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 067 | ალბასეტე-ტენერიფე | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 068 | ლეიდა-ეიბარი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| | 3 სექტემბერი | | | |
| 069 | ლეგანესი-ესტრემადურა 15.00 | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 070 | კომპოსტელა-ბეტისი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 071 | ხაენი-ფეროლი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 072 | სპორტინგი-ლას პალმასი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 073 | უელვა-ბადახოსი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 074 | ლევანტე-ატლეტიკო | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 075 | ელჩე-სალამანკა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 076 | სევილია-მურსია | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 077 | სევილია-მურსია 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

პორტუგალია. I ლიგა. გადადებული მატჩი

2 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 078 | მარიტიმუ-ჟილ ვისენტე | 1,9 | 2,9 | 4,0 |

ჰოლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩი

3 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 079 | ვალვაიკი-როზენდალი 17.30 | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 080 | ვალვაიკი-როზენდალი | 1,9 | 3,4 | 2,4 |

ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-3 ტური

4 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 081 | დენ ბოსხი-ოსი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 082 | დენ ბოსხი-ოსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 083 | ცვოლე-ჰაარლემი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 084 | ცვოლე-ჰაარლემი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 085 | დენ ჰააგი-ექსელსიორი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 086 | მაასტრიხტი-ვოლენდამი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 087 | ვეენდამი-კამბური | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 088 | ტელსტარი-იგლსი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 089 | ჰერაკლესი-ჰელმონდი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 090 | ეინდჰოვენი-დორდრეხტი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 091 | ვენლო-ემენი | 3,0 | 3,1 | 2,2 |

ბელგია. II დივიზიონი. მე-3 ტური

3 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 092 | ლიეჟი-სერკლი 18.00 | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 093 | მონსი-რუზელარე 18.00 | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 094 | დესელი-ტინენი 18.00 | 1,65 | 3,2 | 4,7 |
| 095 | ტურნჰაუტი-დენდერლეუ 18.00 | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 096 | მოლენბეკი-ოსტენდე 18.00 | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 097 | მაასლანდი-გეელი 18.00 | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 098 | დაინცე-სტრომბეკი 18.00 | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 099 | ლომელი-ინგელმუნსტერი 18.00 | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 100 | ჰეუსდენი-ჰეკელგემი 18.00 | 2,1 | 3,1 | 3,0 |

შვეიცარია. "ბ" ჯგუფი

2 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 101 | იანგ ბოისი-ვინტერთური | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 102 | იანგ ბოისი-ვინტერთური 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები
### 2 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | ფინეთი-ალბანეთი 17⁰⁰ | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 502 | ფინეთი-ალბანეთი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 503 | ბულგარეთი-ჩეხეთი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 504 | ჩრდ.ირლანდია-მალტა | 1,1 | 7,0 | 15,0 |
| 505 | ჩრდ ირლანდია-მალტა 0:2 | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 506 | ბელარუსი-უელსი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 507 | ნორვეგია-სომხეთი | 1,05 | 9,0 | 18,0 |
| 508 | ნორვეგია-სომხეთი 0:2 | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 509 | ანდორა-კვიპროსი | 9,0 | 5,0 | 1,25 |
| 510 | აზერბაიჯანი-შვედეთი | 9,0 | 5,0 | 1,25 |
| 511 | უკრაინა-პოლონეთი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 512 | უკრაინა-პოლონეთი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 513 | ლატვია-შოტლანდია | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 514 | გერმანია-საბერძნეთი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 515 | გერმანია-საბერძნეთი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 516 | თურქეთი-მოლდოვა | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 517 | თურქეთი-მოლდოვა 0:2 | 1,7 | 3,4 | 2,9 |
| 518 | ისლანდია-დანია | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 519 | ბელგია-ხორვატია | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 520 | შვეიცარია-რუსეთი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 521 | ბოსნია-ესპანეთი | 7,0 | 3,8 | 1,4 |
| 522 | ჰოლანდია-ირლანდია | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 523 | ჰოლანდია-ირლანდია 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 524 | პარაგვაი-ვენესუელა | 1,1 | 7,0 | 15,0 |
| 525 | პარაგვაი-ვენესუელა 0:2 | 1,7 | 3,4 | 2,9 |
| 526 | ჰონდურასი-სალვადორი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 527 | ჰონდურასი-სალვადორი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 528 | ჩილე-კოლუმბია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | **3 სექტემბერი** | | | |
| 529 | ფარერები-სლოვენია | 10,0 | 5,6 | 1,2 |
| 530 | კოსტა რიკა-ბარბადოსი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 531 | კოსტა რიკა-ბარბადოსი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 532 | ესტონეთი-პორტუგალია | 7,0 | 3,8 | 1,4 |
| 533 | მექსიკა-პანამა | 1,05 | 9,0 | 18,0 |
| 534 | მექსიკა-პანამა 0:3 | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 535 | ლუქსემბურგი-იუგოსლავია | 15,0 | 7,0 | 1,1 |
| 536 | აშშ-გვატემალა | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 537 | აშშ-გვატემალა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 538 | ისრაელი-ლიხტენშტაინი | 1,03 | 10,0 | 20,0 |
| 539 | ისრაელი-ლიხტენშტაინი 0:3 | 1,3 | 4,0 | 3,6 |
| 540 | რუმინეთი-ლიტვა | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 541 | რუმინეთი-ლიტვა 0:2 | 1,6 | 3,6 | 3,0 |
| 542 | სლოვაკეთი-მაკედონია | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 543 | უნგრეთი-იტალია | 6,5 | 3,4 | 1,5 |
| 544 | ტრინიდადი-კანადა | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 545 | ტრინიდადი-კანადა 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 546 | იამაიკა-სენტ ვინსენტი | 1,05 | 9,0 | 18,0 |
| 547 | იამაიკა-სენტ ვინსენტი 0:3 | 1,5 | 4,2 | 2,8 |
| 548 | ბრაზილია-ბოლივია | 1,1 | 7,0 | 15,0 |
| 549 | ბრაზილია-ბოლივია 0:2 | 1,4 | 4,0 | 3,3 |
| 550 | ურუგვაი-ეკვადორი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 551 | ურუგვაი-ეკვადორი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 552 | პერუ-არგენტინა | 3,5 | 3,0 | 2,0 |

### ამხანაგური მატჩები
### 2 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 554 | საფრანგეთი-ინგლისი | 1,85 | 3,0 | 4,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# როგორი ამინდი იქნება ხვალ? ვუელტა: ძლიერი ქარი, 30-35 მეტრი წამში


პაოლო ბოსონი

„ვუელტას" მეექვსე ეტაპი, რომელიც ბენიდორმსა და ვალენსიას შორის მოეწყო, იტალიელი პაოლო ბოსონის გამარჯვებით დასრულდა. საერთო ჩათვლის ლიდერის ოქროსფერი მაისურა კი შვეიცარიელმა ალექს ცულემ შეინარჩუნა.

იტალიელმა, რომელმაც ფინალურ სპრინტში იმარჯვა, თავის პროფესიულ კარიერაში პირველი წარმატება იზეიმა. მან სულ მცირედით აჯობა ჯოვანი ლომბარდისა და უკვე ორი ეტაპის მომგებ, მსოფლიოს ჩემპიონ ოსკარ ფრეირს.

ამ ეტაპის დროს პელოტონი კვლავაც ქარის შემოტევების გამო რამდენიმე ნაწილად დაიშალა. ტურნირის ფავორიტებმა იან ულრიხმა, ალექს ცულემ და აბრაამ ოლანომ, რომლებმაც წინა დღეებში ბევრი მეტოქე ჯგუფური წაქცევების გამო ჩამოიტოვეს, ხუთშაბათს რუს პაველ ტონკოვსაც იგივე დამართეს და 43 წამი მოუგეს.

„ისეთი ეტაპებია, მოგებაზე კი არ უნდა იფიქრო, ყველანაირად უნდა ეცადო, არ წააგო" — სწორად შეაფასა ვითარება იგორ გონსალეს დე გალდეანომ, რომელმაც ფინიშს პელოტონის პირველ ჯგუფთან ერთად უწია.

„43 წამით ჩამოვრჩი. თუ დღეს 10 წამი დავთმე, ხვალაც იგივე გავიმეორე, საბოლოოდ „ვუელტასაც" წავაგებ. მე კი აქ გამარჯვებისთვის ჩამოვედი" — განაცხადა ტონკოვმა და იქვე დაამატა, რომ ასეთ მოკლე ეტაპებს გაცილებით გრძელი და შედარებით მშვიდი ეტაპები ურჩევნია. რუსი მრბოლი ფინიშამდე 30 კილომეტრით ადრე მომხდარმა ჯგუფურმა წაქცევამ შეაფერხა. სწორედ ამ დროს, ულრიხის და ოლანოს თანაგუნდელებმა სიჩქარე გაზარდეს და წაქცეულებს წამოწევის საშუალება მოუსპეს.

ტონკოვი, ისევე როგორც ესპანელები — ფერნანდო ესკარტინი და მანუელ ბელტრანი, ფრანგი რიშარ ვირანკი, იტალიელები — ჯილბერტო სიმონი და ივან გოტი, ბევრს ეცადა, პელოტონის მოწინავე ნაწილს შეერთებოდა, მაგრამ საწადელი ვერ აისრულა.

გერმანელმა იან ულრიხმა, რომელსაც ოთხი თანაგუნდელი ეხმარებოდა, უკანასკნელ კილომეტრზე შეტევა სცადა, რათა ეტაპი მოეგო, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. საბოლოოდ ეტაპის გამარჯვებულის ვინაობა სპრინტერებმა გაარკვიეს ერთმანეთში. „ტელეკომის" წევრ ლომბარდის გამარჯვება უკვე დაბევებული ეგონა, რადგან ფრეირის გასწრება მოახერხა, მაგრამ უკანასკნელ წამს მას ბოსონიმ გადაასწრო.

მანამდე დანილო დი ლუკას, ფრანსისკო კაბელოსა და ანდრეს ბერმეხოს სამეული მე-80 კილომეტრზე გაეცქა პელოტონს, თუმცა ეს შეტევა წარუმატებელი გამოდგა. მერე, ზემოაღნიშნულ წაქცევამდე, პედრო ლოპესმა, რემკო ვან დერ ვენმა, მარიანო პიკოლიმ და ფაბიო როსიოლიმ სცადეს ბედი, მაგრამ ისინიც ვერაფერს გამორჩნენ.

ბოლოს კი ვილაცეები წაიქცნენ, ვილაცეები გაიქცნენ, ვილაცეები ჩამორჩნენ...

**გაიოზ თალაკვაძე**

**მეექვსე ეტაპი**

ბენიდორმი — ვალენსია, 155,5 კმ

1. პაოლო ბოსონი (იტალია, კანტინა ტოლო) — 3სთ 27წთ 20წმ
2. ჯოვანი ლომბარდი (იტალია, ტელეკომი)
3. ოსკარ ფრეირი (ესპანეთი, მაპეი)
4. ენდრიო ლეონი (იტალია, ალესიო)
5. მასიმილიანო ჯენტილი (იტალია, კანტინა ტოლო) — ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ალექს ცულე (შვეიცარია, ბანესტო) — 20სთ 35წთ 41წმ
2. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +1წთ 09წმ
3. იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +1წთ 10
4. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) — +1წთ 15
5. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — +1წთ 23


ნაავარიევი ლენს არმსტრონგი ისევ თავის ცოლშვილშია

# ცოლი ისეთი უნდა გყავდეს, სასწრაფო დახმარებას მოასწროს

„ტურ დე ფრანსის" ზედიზედ ორჯერ მომგები, ამერიკელი ლენს არმსტრონგი სამშაბათს ავარიაში მოყვა. იგი სამხრეთ საფრანგეთში, ნიცას მახლობლად ვარჯიშობდა, როცა მანქანა დაეჯახა, იუწყება მისი გუნდი „პოსტალი".

არმსტრონგი კონტუზიით გადარჩა და, რამდენიმედღიანი იძულებითი დასვენება მოუწევს, თუმცა მისი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა საეჭვო არ გამხდარა. ყოველ შემთხვევაში, „პოსტალის" სპორტულმა დირექტორმა იოჰან ბრიუნელმა „ფრანს-პრესს" ასე განუცხადა: „ლენს ველოსიპედზე შეჯდომა უკვე მომავალ კვირაში შეეძლება".

ამერიკელი მრბოლი თავის ორ თანაგუნდელთან ერთად ვარჯიშობდა. არმსტრონგი, ტაილერ ჰამილტონი და ფრენკი ანდრე სოფლის გზაზე მიდიოდნენ, სადაც, ჩვეულებისამებრ, ძალიან მცირე მოძრაობაა. „მანქანა მათი საწინააღმდეგო მხრიდან მიდიოდა. როცა იგი მოსახვევში შევიდა, გზის მეორე მხარეს გადავიდა. როგორც მითხრეს, მანქანის სიჩქარე ძალიან მაღალი იყო. ფრენკი გადარჩა, ტაილერი ცოტათი დაშავდა, ლენსი კი ყველაზე მეტად დაიმტვრა. მისი ველოსიპედი და ჩაფხუტი ნამსხვრევებად იქცა" — ასე აღწერა ავარია ბრიუნელმა.

ახლა კი თავად ერთ-ერთ დაზარალებულს მოვუსმინოთ. აღმართიან გზაზე ვვარჯიშობდით — ჰყვება ჰამილტონი — როცა დაღმართზე ვეშვებოდით, თითქოს ციდან ჩამოვარდაო, ჩვენსკენ მომქროლავი მანქანა გაჩნდა. იგი ლენსს დაეჯახა, თუმცა, საბედნიეროდ, მთელი დარტყმა მისმა ველოსიპედმა მიიღო. ლენსი ველოს გადააფრინდა და გზაზე დაენარცხა. კიდევ კარგი, არაფერი მოიტეხა. მეც წავიქეცი, ოღონდ მხოლოდ იდაყვი და მუხლი გადამეყვლიფა.

მრბოლებთან პირველი არმსტრონგის მეუღლე კრისტინი გაჩნდა, რომელმაც მიიყვანა კიდეც დაზარალებულები უახლოეს საავადმყოფომდე. ისინი ექიმებმა გამოიკვლიეს, დახმარებაც აღმოუჩინეს და იმ დღესვე გაუშვეს შინ.

არმსტრონგს 10 სექტემბერს ჩრდილოეთ საფრანგეთში გასამართ ერთ-ერთ შეჯიბრში, 16-ში კი საფრანგეთშივე, ივეტოში ეროვნებათა დიდ პრიზზე მონაწილეობა ჰქონდა დაგეგმილი. ეს მისი უკანასკნელი ინდივიდუალური რბოლა უნდა ყოფილიყო სიდნეიმდე. „მისი ოლიმპიადისთვის მზადების პროგრამა არ შეიცვლება, მიუხედავად იმისა, რომ იგი რამდენიმე დღით ველოსიპედს ახლოსაც ვერ გაეკარება" — თქვა იოჰან ბრიუნელ[illegible], რომელმაც დაამატა, რომ გზად საავადმყოფოსკენ ლენსმა დამირეკა და საკმაოდ შეშფოთებული იყო, მაგრამ გასინჯვის მერე დაწყნარდაო.

ამერიკელისთვის წლეულს ეს მეორე უბედური შემთხვევაა. მაისში იგი „ტურისთვის" მზადებისას სულორის მთიდან („ტურის" პროგრამაში იყო) დაშვებისას კლდეს შეეჯახა, თუმცა მაშინაც საკმაოდ იოლად გადარჩა.

„ტურ დე ფრანსის" ზედიზედ მეორედ მოგების შემდეგ არმსტრონგმა ოლიმპიური ოქროს დაისახა მიზნად. სიდნეიში მისი მთავარი კონკურენტი, სავარაუდოდ, იან ულრიხი იქნება. „ტურის" დამთავრების მერე „პოსტალის" ლიდერმა ერთი გამარჯვებაც მოიპოვა. მან და რუსმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა ორკაციანი გუნდების რბოლა მოიგეს და ედი მერქსის დიდ პრიზსაც დაეუფლნენ.

**გაიოზ თალაკვაძე**



# ხომ არ დაგავიწყდით?! ფრენკი ფრედერიკსი ორასიანი ოქროთი იმუქრება

„მიზანი — ოქროა." ამგვარი შინაარსით წარიმართა სახელოვანი ნამიბიელი სპრინტერის, ფრენკი ფრედერიკსის საუბარი თავისი ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ჰაგე გეინგობომთან. ბატონი გეინგობომი ნამიბიის ოლიმპიურ ნაკრებს სიდნეისკენ გზის დასალოცად შეხვდა და მოლოდინისამებრ, მისი და მასმედიის ყურადღების დიდი წილი ფრედერიკსს ერგო, ოქროს მედლის ამბავში აქამდე უიღბლო მძლეოსანს: ბარსელონასა და ატლანტაში ნამიბიელმა ორ-ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა 100 და 200 მეტრიან დისტანციებზე, ჩემპიონი კი ერთგანაც ვერ გახდა. გასული სეზონის მიწურულს ფრედერიკსმა ზურგის და ფეხის ტრავმები მიიღო და 2000 წლის მთელი სეზონი, ფაქტობრივად, ჩააგდო, მაგრამ ვარჯიში თითქმის არ შეუწყვეტია, ხან სამშობლოში შრომობდა, ხან მონაკოში და ერთი-ორჯერ ფინეთშიც გადავიდა. ივლისში ფრედერიკსმა აქილევსის მყესი ერთხელაც იტკინა, მაგრამ ახლა კვლავ ძველი დატვირთვით ვარჯიშობს, რაშიც ჩვეულებრივი და ესტაფეტური დისტანციების მრავალჯერ რბენა, შტანგის ქაჩვა და ხანგრძლივი ცურვა იგულისხმება. ფრედერიკსის საწვრთნელი პარტნიორები ასევე ცნობილი ნამიბიელი მძლეოსნები — ბენედიქტ ბოთა, სტეფან ლოუ და კრისტი ვან ვეიკი არიან.

სიდნეიში ფრედერიკსი 200 მეტრის გარბენას აპირებს და თავისივე განცხადებით, ფეხებზე ჰკიდია ამ დისტანციაზე მაიკლ ჯონსონისა და მორის გრინის გამოსვლა-არგამოსვლის ამბავი. „როცა გავიგე, რომ ისინი 200 მეტრზე სიდნეიში, სავარაუდოდ, არ ირბენენ, არაფერი მიგრძვნია. არც ჩემს საწვრთნელ პროცესზე უმოქმედია ამას, ძილიც ძველებურად წყნარი და უშფოთველი მაქვს... ჩემს გვერდით ვინც უნდა ირბინოს, მე მხოლოდ ოქროსთვის ვიბრძოლებ. ეტყობა, ვილაცეებს წლეულს ჩემი სახელი მიავიწყდათ და ვეცდები, მათი გონება გავანათო." ახლა მთლად მასეც ვერ იქნება, გრინისა და ჯონსონის ჩამოცლა ფრედერიკსს ცოტა მაინც გაუხარდებოდა, მაგრამ ამის კვლევა რა ჩვენი საქმეა, უფრო ის გვაინტერესებს, რასაც თავად სპორტსმენი ამბობს: „ტყუილია, თითქოს სიდნეის შემდეგ სპორტიდან წასვლას ვაპირებდე. მომავალი წლისთვის დიდი გეგმები მაქვს. საერთოდ, ნამიბიაში საუცხოო ახალი თაობა იზრდება და მე უნდა დავრწმუნდე, რომ მათ რბენა რიგიანად ისწავლეს. წასვლაზე მხოლოდ ამის შემდეგ ვიფიქრებ და ცოლის მოყვანაზეც, რასაც დედაჩემი ამდენი ხანია ჩამჩიჩინებს..."


ფრენკი ფრედერიკსი

ოლიმპიადის დაწყებამდე ფრედერიკსი საკუთარ თავს ევროპაში, იაპონიასა და ავსტრალიაში გამოცდის.

**დავით გულუა**

# რუმინელი ქალები კავშირშიც არ ჩაიჭრნენ

**ფრანგ** მეფეთა ოდინდელმა სამყოფლომ — რეიმსმა მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. ერთი ამბის გარდა გამოსარჩევი არაფერი მომხდარა — 22 წლის რუმინელმა კრისტინა ილოკმა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა.

რბენის ეს სახეობა სუფთა მამაკაცურ სახეობად ითვლებოდა. მხოლოდ ბოლო ხანებში მას მშვენიერთა სქესიც დაუახლოვდა. ქალბატონები უკვე არად აგდებენ სტიპლჩეიზის (ამ დისციპლინის ერთგვარი სახელია) სირთულეებს (მამაკაცებშიც კი იგი ყველაზე მტანჯველ სახეობად ითვლება), არც იმას, რომ ქალთა ამგვარად შეჯიბრს ჯერ არც ოლიმპიური თამაშები და არც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები ცნობენ. სტრიპლჩეიზში ადრე რუსები დედოფლობდნენ, მსოფლიოს რეკორდიც მათი იყო, მაგრამ 7 აგვისტოს მას ილოკი დაეპატრონა და გუშინწინ კი ახალი მნიშვნელობა მიანიჭა — 9 წუთი, 40 მთელი და 20 მეასედი წამი.

მეორე რუმინელი სლოვაკურ ნიტრაში გაისარჯა სანაქებოდ. მიხაელა მელინტემ, რომელიც მთელს დუნიაზე ქალებში საუკეთესო უროს მტყორცნელია, სეზონის რეკორდი დაამყარა, როცა 4-კილოიანი სიმძიმე 74,32 მეტრზე გადატყორცნა. წლეულს 74 მეტრს კიდევ ორმა სპორტსმენმა გადააცილა, მათგან ერთი, რუსი ოლგა კუზენკოვა გახლდათ, სიდნეის ოლიმპიადაზე მელინტეს მთავარი სავარაუდო მეტოქე. მაგრამ მელინტეს შანსს უფრო მეტად აფასებენ, სხვა თუ არაფერი, მხედველობაში ის მაინც უნდა მივიღოთ, რომ 1999 წლის 29 აგვისტოს რუმინელმა ურო 76 მეტრსა და 07 სანტიმეტრზე გადაგდო (გერმანულ რიუდლინგენში) და მსოფლიოს რეკორდსმენი გახდა. ახლაც არის. მასა და კუზენკოვას გარდა დედამიწის ზურგზე სულ 4 ქალია, ვისაც 70-მეტრიანი ბარიერი დაუძლევია. რუსი ტატიანა კონსტანტინოვა, ამერიკელი დაუნ ელერბი, ფრანგი მანუელა მონტებრუნი და პოლონელი კამილა სკოლიმოვსკი (იუნიორებში მსოფლიო რეკორდსმენი) სიდნეის ოლიმპიადაზე უკლებლივ გამოვლენ. პირველად მოხდა, ქალებს ოლიმპიადაზე უროს ხმარების ნება რომ დართეს და ჩემპიონობისთვის ცხარე ბრძოლაა მოსალოდნელი.

**ვასილ დევიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფიცი, ლოცვა და დალოცვა

**გუშინდელი,** მართლაც გამორჩეული დღე საქართველოს ოლიმპიელებისთვის „შერატონ მეტეხი პალასში“ გასრულდა. ჩვენი ოლიმპიური გუნდის პრეზენტაცია მშვენიერი იყო: შამპანურით გზის დალოცვა, კეთილი სურვილები, ღიმილიანი სახეები... ერთი სიტყვით, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და კომპანია „მეგაკომის“ თაოსნობით მოწყობილმა სასიამოვნო საღამომ დროებით ყველას დაგვავიწყა, რა გაჭირვებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ. დაგვავიწყა, ვიმეორებთ, დროებით...

გუშინ დილიდან დაწყებულმა ღონისძიებებმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა საერთო-საქვეყნო პრობლემები. ის დილა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში ქვეყნის ოლიმპიური დელეგაციის წევრთა ეგრეთ წოდებული მუშა თათბირით დაიწყო.

დაიწყო დაგვიანებით — ქობულეთში შეკრებიდან გამომგზავრებულმა ძიუდოისტებმა გვაცნობეს, ნახევარი საათით გვაგვიანდებაო. გზად თურმე ისეთი ავდარი დასტყდომიათ თავს, სავალი მდინარეს დამსგავსებია და წყალს მანქანების ძრავები ჩაუქრია.

ამ დაგვიანებას როგორმე აიტანს კაცი, იოლადაც ავიტანთ, მაგრამ მთავარია, ძიუდოისტებმა სიდნეიში აწონვაზე არ დაიგვიანონ, როგორც ეს ოლიმპიურ ჩემპიონ დავით ხახალეიშვილს დაემართა ატლანტაში...

ასე იყო თუ ისე, ძიუდოისტთა ლოდინი მართლაც ნახევარი საათით მოგვიხდა.

თავად თათბირის ანგარიშით თქვენს ყურადღებას აღარ გადავღლით, მაგრამ ერთზე კი მაინც შევჩერდებით. ატლანტის ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ელდარ კურტანიძემ თქვა, საზოგადოებას ჰგონია, თუ ჩემპიონები გავხდებით, 50-50 ათას დოლარს ჩავიჯიბავთ, მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენი გამარჯვებით ისინიც მოგებულნი დარჩებიან, რადგან იმ პრემიალური თანხიდან დაგვიკავებენ 20-20 პროცენტს, რაც ისევ ხალხს მოხმარდებაო.

ისიც ითქვა, სიდნეიში მუქთად არავინ მიგვაფრენს და არც ბანკებს უჩუქებიათ ჩვენთვის ფულიო. და საერთოდ, ჩვენი ოლიმპიელებისა და სეოკ-ის თხოვნას სახსრების მოზიდვის თაობაზე არავინ გამოხმაურებია და ბანკში ანგარიშიც ამაოდ გავხსენით, რადგან იქ ერთი თეთრიც არ შესულაო.

ჩვენს ოლიმპიელებს ისევ სახელმწიფო შეეწია, ოღონდ დაგვიანებით, რაც, უეჭველად და სამწუხაროდ სიდნეიში გამოჩნდება.

მაგრამ დავუბრუნდეთ გუშინდელ დღეს, როცა ოლიმპიურმა დელეგაციამ სეოკ-ის შტაბ-ბინაში გადაინაცვლა. იქაურ მუზეუმში ჩვენმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძე ყველას სახელით დაიფიცა, რომ ჭეშმარიტი სპორტული სულისკვეთებით ვიბრძოლებო...

ეს ცერემონიალი ჩაბნელებულ დარბაზში დაიწყო და შუქი მაშინ მოვიდა, როცა სალუქვაძე ფიცის წარმოთქმას ამთავრებდა.

მაგრამ ეს ყველაფერი არც ოლიმპიური კომიტეტის საკრიტიკოდ გავიხსენეთ, არც ძიუდოისტების გაკიცხვა გაგვივლია გულში. უბრალოდ, კიდევ ერთხელ შეგახსენეთ, თუ რა ქვეყანაში ვცხოვრობთ. ქვეყანაში, სადაც ერთი ჩვეულებრივი, თუნდაც დიდი წვიმა გზატკეცილებს გაუვალს ხდის, სადაც ზაფხულშიც კი ელექტრომიწოდების აბდაუბდა გრაფიკია; ქვეყანაში, სადაც შეპირებული პრემიიდან ნაწილს გიკავებენ; ქვეყანაში, სადაც ზოგ-ზოგებს სახელმწიფო გამოუხრავთ, ქვეყნის ბიუჯეტი გაუჩანაგებიათ, უსაშველოდ გაზულუქებულან და ოლიმპიელებისთვის ერთი თეთრიც ვერ გაუმეტებიათ...

მაგრამ ამაზე და სხვა მრავალზე ჩივილი შორს წაგვიყვანს.

გუშინვე ჩვენი ოლიმპიური დელეგაციის წევრები მიიღო ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და გაგვახსენდა ატლანტის ოლიმპიურ თამაშებამდე ანალოგიური შეხვედრა. მაშინ შევარდნაძემ ბრძანა, ოლიმპიადაზე გამარჯვება აფხაზეთში გამარჯვების ნაწილია, აფხაზეთში მიმავალი გზა მით უფრო მოკლდება, რაც მეტი გამარჯვებები გვექნება სპორტში, ხელოვნებაში, პოლიტიკაში...

იმ მიღებაზე თავისუფალი სტილით მოჭიდავემ, სოხუმელმა ლტოლვილმა ელდარ კურტანიძემ საქართველოს პრეზიდენტს რწმენით მიმართა, ატლანტიდან რომ ჩამოვალთ, აფხაზეთში ოლიმპიური ოქროს მედლებით უნდა შევიდეთო.

მას შემდეგ ოთხ წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ აფხაზეთში ვერც ოქროს მედლებით შევედით, ვერც კურტანიძისა და სოსო ლიპარტელიანის ბრინჯაოებით და საერთოდ ვერანაირი მედლით.

ახლა რაღა იქნება? იქნებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II გუშინდელი ლოცვა-კურთხევითა და გზის დალოცვით უკეთ გამოვიდეთ სიდნეიში, ვიდრე ატლანტაში? იქნებ სიდნეური წარმატება გახდეს აფხაზეთში შესვლის საწინდარი?

როგორც ედუარდ შევარდნაძემ გუშინდელ შეხვედრაზე ბრძანა, საქართველოს გასაერთიანებლად ბრძოლა მიდის და თუ თქვენც ხელდამშვენებულნი ჩამოხვალთ სიდნეიდან, ეს ამ საქმეში დიდი დახმარება იქნებაო.

**ავთანდილ ჭუმბურიძე**
**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**



სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა ძველებურად შემოსძახა „ყვავილების ქვეყანა“



კახი ასათიანი და ქართული სპორტი ღვთის იმედზეა



უწმინდესმა და უნეტარესმა ქართველი ოლიმპიელები აკურთხა



კობა გულიაშვილი: კაცი ვარ და ნინო ქუდს მახურავს



## ინგლისი

I დივიზიონი

ტრანმერი 2:1 სტოკპორტი

## იტალია

სერია B. I ტური

ტორინო 0:2 ანკონა

## ამხანაგური მატჩი

ავსტრია 5:1 ირანი

0:1 მაჯიდი (6), 1:1 შერცოგი (39), 2:1 კოციანი (44), 3:1 მაირლები (47), 4:1 კუპბაუერი (66), 5:1 მაირლები (68)

## საფრანგეთი

II დივიზიონი

აიაჩო 0:0 ლორიანი

ანჟერი 0:0 ლე ავრი

გუეჲ 0:0 ლავალი

კაენი 0:3 ნანსი

შატორუ 2:0 კანი

ლე მანი 1:1 მონპელიე

მარტიგი 2:0 სოშო

ნიცა 2:0 კრეტეი

ნიმი 1:0 ვალანსი

ნიორი 2:0 გენიონი



# კრაიჩეკის თავური

*ჰოლანდიელ რიჰარდ კრაიჩეკს თავიც კი დაუხვედრებია ჩოგბურთის ბურთისთვის. ეს მას შემდეგ მომხდარა, რაც იოლად დაუმარცხებია ბრაზილიელი ანდრე სა. ამერიკის ღია პირველობა კი, რა თქმა უნდა, გრძელდება.*

# მიდი, ბებია, მიდი!



უყურეთ ამ ბებოს. იგი 90 წლისაა და როსარიო იგლესიას როჩა ჰქვია, თუმცა ყველა „ჩაიიტოს" ეძახის. ბებია ჩაიიტო პრესკონფერენციას მართავს, მას რეპორტიორები სწვევიან. პრესკონფერენციის თემა მისი შრომითი წარსული როდია — ჩაიიტო 63 წელია ფოსტალიონად მსახურობს მეხიკო-სიტიში — არამედ ის, რომ ამ ხნის ქალს ორასმეტრიან დისტანციაზე გაურბენია მოხუცთა შეჯიბრში, ეს გზა 1,50 წუთში დაუფარავს და ვერცხლის მედალი მოუგია.

ჩაიიტო ბებიას 400 მეტრზეც გაურბენია და საერთოდაც ოქრო მოუპოვებია 2,46 წუთიანი შედეგით.





# სიდნეიში უკვე ამბებია

აშშ, სპორტსმენები რომ სიდნეისკენ დაიძრნენ, უკვე გამოცხადებულია. ბულგარული დელეგაციის პირველი რაზმიც უკვე ჩაჯდა თვითმფრინავში. ტანმოვარჯიშე დიმიტრი ლუნჩევი ძლივს მოსწყვიტეს ცოლ დოჩკას. ბულგარულ გუნდში 97 სპორტსმენია. ოთხი წლის წინათ 117-მა ბულგარელმა ატლანტიდან 13 მედალი ჩაიტანა სამშობლოში.

სიდნეიში კი უკვე დიდი ლაღობაა. ოლიმპიური არტ-ფესტივალი შანხაელ აკრობატთა გამოსვლით დაიწყო. შანხაის ცირკი, რომელსაც თავისი სასწავლებლის ასი სტუდენტიც ჩაუყვანია ოლიმპიურ ქალაქში, ექვსკვირიან გასტროლს აწყობს მწვანე კონტინენტზე.

მწვანე ფერი ვახსენეთ და სიდნეის ხიდქვეშ მიცურავს განთქმული ეკოლოგიური მოძრაობის, „გრინფისის" (მწვანე მშვიდობის) აქტივისტთა კატარღა. გრინფისელებს თავიანთი პროგრამა ჰქონიათ ოლიმპიადასთან დაკავშირებით და ახლა ჩვეული მახვილი თვალით ათვალიერებენ ოლიმპიურ ქალაქს.





# კანცლერი გუნდში

*გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრიოდერი ქვეყნის აღმოსავლეთ მიწებზე მოგზაურობს და სოციალისტური წარსულის მქონე ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობასაც ხვდება. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა რეგიონალური ლიგის საფეხბურთო კლუბის „გრუენ ვაისის" ბაზაზეც გაიმართა ქალაქ ვოლფენში. კანცლერმა ბურთი შესამურად აკენწლა.*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge